პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური და ტფ. კომიტეტების და ცაკის ორგანო

ფასი 10 კაპ.

ხუთშაბათი
16
ნოემბერი
1935 წ.
№ 265 (4421)

— უზრუნველვყოთ კომკავშირის ჯანსაღი ზრდა (მეთაური)
— სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირი
— ხუთასოვანთა მიმართვა
— ქ. გორდელაძე—შეცდომები ბოლომდე უნდა იქნას აღიარებული.
— ულენტი— ჩემი შეცდომების შესახებ პრაღის კონფერენციის პერიოდში.
— ვალ. გაგუნია — ალექსი, ვასილ, ტრიფონი.
— ტ. ლომიძე— 140276 ამომრჩევლის 4792 წინადადება
— საპარლამენტო არჩევნები ინგლისში
— იტალია-აბისინიის ომი
— ეგვიპტის ამბები.
— პანიკა შანხაიში.
— აბისინიის ჯარებმა ხელთ იგდეს იტალიის ქარავანი

უზრუნველვყოთ კომკავშირის ჯანსაღი ზრდა

ლენინური კომკავშირი აწარმოებს თავისი მუშაობის გარდაქმნას იმ ახალი ამოცანების შესასრულებლად, რომელიც დაუსახა მას ამხ. სტალინმა და საქ. ა.ლ.კ.კ. ც. კ-ის მე-11 პლენუმმა. კომკავშირი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით მტკიცედ დაირაზმა კომუნიზმის პრინციპებით მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის აღზრდის ამოცანის ბრწყინვალედ შესასრულებლად.

უკანასკნელ წლებში კომკავშირის ორგანიზაცია გაიზარდა. მას შეემატა ათეული და ასეული ათასი საუკეთესო ახალგაზრდა. ისინი იბრძვიან და იწვრთნებიან სოციალიზმისათვის გმირულ ბრძოლაში. სოციალიზმის ფრონტის თვითეულ ნაკვეთზე საბჭოთა ახალგაზრდობამ და უწინარეს ყოვლისა, კომკავშირმა გვიჩვენეს დარაზმულობა, სიმტკიცე, იდეურობა, სიმამაცე და გმირობა.

ლენინურ კომკავშირში განუწყვეტლივ მოეშურება ახალი ნაკადი მუშურ-გლეხური მშრომელი ახალგაზრდობისა. ეს მოითხოვს ჩვენგან და თვით კომკავშირისგან განსაკუთრებულ ყურადღებას. მეტ სიფხიზლეს, დაკვირვებას და თვითეული ახალგაზრდის შესწავლას.

კომკავშირის ორგანიზაციის ზრდა და სოციალური შემადგენლობის მოწესრიგება იყო და არის ჩვენი პარტიის ორგანიზაციულ - პოლიტიკური მუშაობის ერთერთი ძირითადი საკითხი. კომკავშირის ორგანიზაციის ზრდის საკითხი ამჟამად ახალნაირად ისმება. „აღრიცხვა კომკავშირული ბილეთის შენახვა,—ამბობს ამხ. კოსარევი,—საწევრო გადასახადი, კომკავშირში მიღება და გამორიცხვა,—ეს იმდენად მნიშვნელოვანი საკითხებია, რომ ამაზე არის დამოკიდებული ორგანიზაციის ბრძოლის უნარიანობა“. ამ მხრივ უკანასკნელ დროს მნიშვნელოვანი პრაქტიკული მუშაობა გავსწიეთ, მაგრამ ყველგან როდია მოწესრიგებული ეს საქმე.

ზოგიერთ რაიონში კომკავშირის ზრდა და მისი მოწესრიგება დაკისრებული აქვთ კომკავშირის პირველადს ორგანიზაციებს, ზოგან იგი თვითდინებით წარმოებს, ხოლო ზოგან არიან ორგანიზაციები, რომლებიც ღებულობენ თითქმის ყველას, ვისაც კი შეაქვს განცხადება კომკავშირში შესვლის შესახებ. არის იმის მაგალითებიც, როდესაც მოსწავლე ახალგაზრდობას, წინააღმდეგ წესდებისა, ღებულობენ საკანდიდატო სტაჟის გაუვლელად. ბევრ ორგანიზაციაში ჯერ კიდევ მოუწესრიგებელია „კომკავშირული მეურნეობა“.

1933—34 წ. შემოსული 177 ანკეტა ამბროლაურის კომკავშირის რაიკომს ჯერ კიდევ არ განუხილავს. რაიკომმა ამ საკითხზე საქ. ა.ლ.კ.კ. ც. კ-ის 16 მარტის დადგენილების შესრულებისადმი გამოიჩინა ნამდვილი ბიუროკრატული და უხულგულო დამოკიდებულება. სიღნაღის კომკავშირის რაიკომს კომკავშირული ბილეთების მიღება და გაცემა დაუკისრებია საქნავთის კომკავშირის პირველადი ორგანიზაციის კომიტეტისათვის და შემდეგ ისინი საბოლოოდ აღარც განუხილავს რაიკომის ბიუროზე დასამტკიცებლად. 1934—35 წ. სიღნაღის რაიონის ორგანიზაციაში მიღებულ 300 კაცზე დღემდის არ არის შედგენილი პირადი ბარათები და მათთვის არ მიუციათ კომკავშირული ბილეთები. არ არის აგრეთვე განხილული 1934 წ. შეტანილი 113 და 1935 წ. შეტანილი 183 ანკეტა კომკავშირში შესასვლელად.

აღნიშნულმა რაიკომებმა უხეშად დაარღვიეს კავშირის წესდება კომკავშირში მიღების შესახებ. კომკავშირში მათ მიიღეს მოსამსახურეები საკანდიდატო სტაჟის გაუვლელად და სათანადო რეკომენდაციების წარუდგენლად. ძალიან უხეიროდაა დაყენებული მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა უპარტიო ახალგაზრდობას შორის, ეს კი უეჭველად გავლენას ახდენს კომკავშირის ორგანიზაციის ჯანსაღ ზრდაზე.

საქ. ა.ლ.კ.კ. ც. კ-მა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი აღნიშნული შეცდომების და ნაკლთა აღმოსაფხვრელად. ამოცანა ახლა ისაა, რომ ის განუხრელად და დაუყოვნებლივ განვახორციელოთ. ეს მითითება ეხებათ არა მარტო სიღნაღისა და ამბროლაურის კომკავშირის რაიკომებს, არამედ ყველა რაიკომს და ოლქკომს, მათ უნდა გამოავლინონ თავის ორგანიზაციებში ყველა ის ნაკლი, რომელსაც ადგილი აქვს კომკავშირული ორგანიზაციის ზრდის საკითხში, დასახონ და პრაქტიკულად გაატარონ ცხოვრებაში კონკრეტული ღონისძიებანი კომკავშირის რიგების სალი ზრდის უზრუნველსაყოფად.

უნდა შეწყდეს ლაყბობა ზრდის ტემპებზე. ჩვენ უნდა მოვამზადოთ და ლენინურ კავშირში მივიღოთ მხოლოდ მოწინავე, წინასწარ მომზადებული მუშურ-გლეხური ახალგაზრდობა, თავდადებული დამკვრელები, რომლებიც მუშაობენ თავის საერთო და პოლიტიკურ განათლების ამაღლებისთვის, თავისი საქმის ტექნიკის დაუფლებისთვის.

ლენინურმა კომკავშირმა სისტემატური მუშაობა უნდა გასწიოს ახალგაზრდა მუშებისა და კოლმეურნეების მოსამზადებლად კავშირში შესვლისათვის. მასობრივ-პოლიტიკური მუშაობა ისე უნდა გაჩაღოთ უპარტიო ახალგაზრდებში, რომ არ წაიშალოს მიჯნა მათსა და კომკავშირელთა შორის.—მასობრივ-პოლიტიკური მუშაობით ჩვენ უნდა მოვამზადოთ უპარტიო ახალგაზრდობა კომკავშირში შესასვლელად, შევარჩიოთ ამ ახალგაზრდობიდან ნამდვილად საუკეთესონი, ნამდვილად მოწინავენი. თვითონ კომკავშირელებმა უნდა შეაფასონ ყოველი შემსვლელი, ყოველმხრივ განიხილონ მისი კანდიდატურა და უკვე ამის შემდეგ გადასწყვიტონ: მიიღონ თუ არა იგი. ჯერ მოვამზადოთ და შევარჩიოთ, ხოლო შემდეგ მივიღოთ და შევინარჩუნოთ“,—აი რა არის ახლა საჭირო კომკავშირის ჯანსაღ ზრდისათვის.

პარტიულმა ორგანიზაციებმა მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ლენინურ კომკავშირს. მარქსისტულ-ლენინური სწავლების მოწყობაში განსაკუთრებულ ენერგიულ დახმარებასთან ერთად, არ უნდა მოვაკლოთ მზრუნველი ხელი „კომკავშირის მეურნეობის“ მოწესრიგებას, რათა დავამყაროთ ბოლშევიკური წესრიგი „კომკავშირულ სახლში“. კერძოდ საჭიროა კონკრეტული ხელმძღვანელობა და დახმარება კომკავშირის ზრდისა და სოციალური შემადგენლობის მოწესრიგებაში. უფრო ფართოდ უნდა გავაჩაღოთ ბოლშევიკური თვითკრიტიკა, ვამხილოთ მოშვებულობა და უდისციპლინობა კომკავშირში, გავამახვილოთ კლასობრივი სიფხიზლე და რეალურად დავეხმაროთ, რათა ლენინურმა „კომკავშირმა თავისი გავლენა ნამდვილად გაავრცელოს მუშურ-გლეხურ ახალგაზრდობაზე, შეავსოს თავისი რიგები მის საუკეთესო წარმომადგენელთა ხარჯზე“.

კომკავშირი მოწოდებულია განამტკიცოს თავისი ორგანიზაცია, მზრუნველობით გამოზარდოს ახალგაზრდათა მილიონები, მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის თეორიის საფუძველზე ჩამოაყალიბოს მათი მსოფლმხედველობა, გააფართოვოს და გაამდიდროს ახალგაზრდობის ჰორიზონტი, მუდამ მტკიცედ იდგის მარქსიზმ-ლენინიზმის დროშის ქვეშ. პარტიის ხელმძღვანელობით და მშობლიური მზრუნველობით ლენინური კომკავშირი უსათუოდ შეასრულებს იმ გაზრდილ ამოცანებს, რომლებიც დასმულია მის წინაშე.

ხუთასოვანთა მიმართვა

(მოსკოვი, ტელეგრაფით საქ კორესპონდენტისაგან)

ამხანაგო კოლმეურნე ქალებო!

თქვენ, ალბათ, უკვე ყველამ იცით, თუ რა დიდი ჯილდოს ღირსნი გავხდით ჩვენ, ჭარხლის მინდვრების დამკვრელები, მოსკოვში ყოფნის დროს. ბრძენ ბელადთან სტალინთან საუბრის დროს ჩვენ პირობა დავდეთ, რომ მივაღწევთ მოსავლიანობის შემდგომ გადიდებას.

რიგი ახლა თქვენზეა საქართველოს ჩაის, ვენახისა და თამბაქოს პლანტაციების დამკვრელებო!

ჩვენს დიდ ქვეყანაში გმირად გახდომა ადვილიც არის და ძნელიც. ადვილია იმიტომ, რომ ყოველ ჩვენგანს, მიუხედავად თავისი მდგომარეობისა, შეუძლია გახდეს ამ დიდი პატივის ღირსი, ძნელია იმიტომ, რომ ამის მისაღწევად საჭიროა შეუპოვარი შრომა, ბოლშევიკური ძალღონე დაყენება.

მივდივართ რა ჩვენი მშვენიერი დედაქალაქიდან, სადაც ამდენი სასიხარულო მომენტი განვიცადეთ, გაორკეცებული ენერგიით შევუდგებით მუშაობას. მოგესალმებით მუშაობით დებო და გისურვებთ ასეთივე აღფრთოვანებით გვატყობინოთ მერმის ჩვენი მთავრობისთვის დიდი მიღწევების და წარმატებების შესახებ.

დემჩენკო, კოშენაია, გლობა,
ანდრეიჩუკი, შვიდკო, კონეტ.

□ □ □

კონკურსის შედეგები

(მოსკოვი, ტელეგრაფით საქ. კორესპონდენტისაგან)

შეჯამებულია სამომხმარებლო კოოპერაციის რაიკულტმაღაზიების კონკურსის შედეგები. **ცენტროსოიუზმა მეორე პრემიით დააჯილდოვა ქ. ცხაკაიას (ახალსენაკის) რაიკულტმაღაზია და მის დირექტორს ჩიქობავას** მისცა ერთი თვის ხელფასი და ძვირფასი საჩუქარი. **აღნიშნულია ქუთაისის რაიკულტმაღაზიის სანიმუშო მუშაობა.**

ცენტროსოიუზმა გამოჰყო 125 ათასი მანეთი სოფლის ფურნეების მოსაწყობად, სადაც გამოაცხობენ პურისა და ფუნთუშის საგლეხო ასორტიმენტს.

იმის გამო, რომ შესაძლოა ნაადრევი სიცივეები დაიწყოს, ცენტროსოიუზმა აჭარისტანის სამომხმარებლო კოოპერაციას განკარგულება მისცა 20 ნოემბრისთვის დაამთავროს საფუთავი სადგომებისა და გადამამუშავებელი პუნქტების მშენებლობა მანდარინებისთვის, რათა თავიდან იქნას აცილებული მათი გაფუჭება.

□

დოქტორ ბეხჩეტ-იუზი ამხ. კ. ე. ვოროშილოვთან

მოსკოვი, 15 ნოემბერი. ქალაქ იზმირის (თურქეთი) მუნიციპალიტეტის თავმჯდომარე დოქტორი ბეხჩეტ-იუზი, რომელიც მოსკოვში იმყოფება, ა. წ. 15 ნოემბერს მიიღო ქალაქ იზმირის საპატიო მოქალაქემ ამხ. კ. ე. ვოროშილოვმა. დოქტორ ბეხჩეტ-იუზმა ამხ. ვოროშილოვს გადასცა ქალაქ იზმირის სურათების ალბომი და იზმირში გაშენებული ამხ. ვოროშილოვის სახელობის ბულვარის გეგმა (ადს).

სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირი

მოსკოვი, 14 ნოემბერი. 14 ნოემბერს კრემლის სასახლის დიდ დარბაზში გაიხსნა მრეწველობისა ტრანსპორტის სტახანოველ მუშათა და მუშა-ქალთა პირველი საკავშირო თათბირი.

თათბირში მონაწილეობას ღებულობს 3 ათასი მოწინავე დამკვრელი მამაკაცი და ქალი — მძიმე, მსუბუქი, კვების და სატყეო მრეწველობის და რკინიგზის ტრანსპორტის ყველა დარგის სტახანოველები.

თათბირის მონაწილენი მქუხარე ოვაციებით ხვდებიან ამხანაგ სტალინს, მოლოტოვს, კაგანოვიჩს, ორჯონიკიძეს, ვოროშილოვს, კალინინს, ანდრეევს, მიქოიანს, ჩუბარს, ჟდანოვსა და ხრუშჩევს, რომლებიც ტრიბუნაზე გამოჩნდნენ.

გაისმის შეძახილები: „გაუმარჯოს ჩვენს დიდ ბელადს — ამხანაგ სტალინს,“ „ბოლშევიკური სტახანოვური სალამი ამხანაგ სტალინს!“ (ვაშა, ტაში). „გაუმარჯოს ამხანაგ მოლოტოვს!“ (ვაშა, ტაში), „გაუმარჯოს ამხ. ორჯონიკიძეს! (ვაშა! ,ვაშა. ტაში), „გაუმარჯოს ამხ. კაგანოვიჩს!“ (ვაშა. ტაში), „ვაშა ამხანაგ ვოროშილოვს!“. „ვაშა ამხანაგ კალინინს!“ (ვაშა. ტაში), „გაუმარჯოს ამხანაგ სტალინს — დიად გამარჯვებათა ორგანიზატორს!“ (ვაშა. ტაში), „გაუმარჯოს ჩვენს საყვარელ, ძვირფას ამხანაგ სტალინს!“ (ვაშა, ტაში).

მისალმების შეძახილი და მქუხარე ოვაციები დიდხანს არ სცხრება. ამხ. ორჯონიკიძე, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ხვდებიან, მუშა და მუშა-ქალ სტახანოველთა პირველ საკავშირო თათბირს გახსნილად აცხადებს.

ამხ. ორჯონიკიძის შესავალი სიტყვის შემდეგ, თათბირზე გამოვიდნენ ამხ. სტახანოვი, კრივონოსი, ბუსიგინი, ე. ვინოგრადოვა, დიუკანოვი, პისარენკო, პრონინი, ზაგორკო, სმეტანინი, სლავნიკოვა, არტიუხოვი, მ. ვინოგრადოვა, იზოტოვი, ოდინცოვა, შმელიანოვი, პუშკინი, დეგტიარევი, ბობილევი, სოროკოვი და სხვები.

თათბირი გრძელდება.



ამხ. ს. ორჯონიკიძე

ამხ. ს. ორჯონიკიძის შესავალი სიტყვა

ამხანაგებო,—ამბობს ამხ. ორჯონიკიძე,—ის, რაც ჩვენ სტახანოვმა, დიუკანოვმა, ბუსიგინმა, ვინოგრადოვმა და რკინიგზაზე კრივონოსმა მოგვცეს და, რომ მათ მაგალითს ასობით და ათასობით ადამიანებმა მიჰბაძეს—ეს არის განსაკუთრებული ფაქტი, უდიდესი მნიშვნელობის ფაქტი. პირდაპირ უნდა ითქვას: ის, რაც დღემდე ყოველგვარი „მეცნიერული ნორმებით“, „სწავლული“ ადამიანების მიერ და ძველი პრაქტიკით იყო ნაკურთხი—ეს ჩვენმა ამხანაგმა სტახანოველებმა ყირამალა დააყენეს, ჯანდაბის გზას გაუყენეს როგორც მოძველებული, რომელიც აფერხებს ჩვენს წინსვლას.

რა გააკეთეს ამ ამხანაგებმა? მათ გააკეთეს, ის რასაც ჩვენგან მოითხოვდა უდიდესი უდიდეს ადამიანთა შორის, ჩვენი პარტიის ორგანიზატორი და ჩვენი მასწავლებელი ლენინი. მათ გააკეთეს ის, რასაც მოითხოვდა ლენინის დიდი მოწაფე და მისი საქმის გამგრძობი, ჩვენი პარტიის ბელადი ამხანაგი სტალინი. **(მქუხარე ტაში).**

მიმდინარე წლის მაისში წითელი არმიის აკადემიკოსთა გამოშვებაზე ამხანაგმა სტალინმა სთქვა: „კადრები სწყვეტენ ყველაფერს“, მან სთქვა: „ტექნიკას ადამიანთა მეთაურობით, რომლებიც ტექნიკას დაეუფლნენ, შეუძლია მოგვცეს და უნდა მოგვცეს კიდეც სასწაულები. ჩვენს პირველხარისხოვან ფაბრიკებსა და ქარხნებში, ჩვენს საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში, ჩვენს წითელ არმიაში რომ გვყავდეს საკმაო რაოდენობის კადრები, რომლებსაც შესწევთ ამ ტექნიკის დაუფლების უნარი, ჩვენი ქვეყანა სამჯერ და ოთხჯერ მეტ ეფექტს მიიღებდა, ვიდრე ეს მას ახლა აქვს“.

ეს სთქვა პარტიის ბელადმა მიმდინარე წლის მაისში.

გადის ოთხი თვე და აი 30 აგვისტოს დონბასში „ცენტრალნაია ირმინოს“ შახტში რიგითმა მნგრეველმა ალექსი სტახანოვმა თავისი სანგრევი უროს დარტყმით, ნორმით გათვალისწინებულ შვიდი ტონას ნაცვლად, ცვლაში 6 საათის განმავლობაში გამოანგრია 102 ტონა ქვანახშირი.

ასეთი იყო პირველი პასუხი ბელადის მოწოდებაზე **(ტაში).**

ეს მოიმოქმედა არაპარტიულმა ბოლშევიკმა, რომელსაც ჯერ კიდევ არა აქვს პარტიული ბილეთი, ფორმალურად იგი პარტიაში არ ირიცხება, მაგრამ არის თავისი ქვეყნის ერთგული შვილი, თავისი პროლეტარული სახელმწიფოს შვილი და მას პარტიისაგან არაფერი არ აშორებს, გარდა იმისა, რომ ჯიბეში ჯერ კიდევ არ უდევს პარტიული ბილეთი.

ორიოდე დღის შემდეგ—3 სექტემბერს შახტში ჩავიდა ამავე უბნის პარტორგანიზატორი ამხ. დიუკანოვი, რომელმაც ექვს საათიან ცვლაში გამოანგრია 115 ტონა—ეს იყო პარტიული ბოლშევიკის მეორე პასუხი მსოფლიო პროლეტარიატის ბელადის ამხანაგ სტალინის მოწოდებაზე. **(ტაში).**

19 სექტემბერს გორკის ავტოქარხანაში არაპარტიულმა ბოლშევიკმა მჭედელმა ამხ. ბუსიგინმა, ნორმით გათვალისწინებულ 675 ლილვის ნაცვლად თავისი ჩაქუჩით გამოსჭედა 1.050 მუხლა ლილვი და ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ ამხანაგი სტალინი სავსებით და მთლიანად მართალია **(ტაში).**

დაახლოებით ამავე დროს დონბასში მემანქანემ ამხ. კრივონოსმა, რომელიც ალექსი სტახანოვის ინიციატივას გამოეხმაურა, მოგვცა ორთქლმავლის მოძრაობის სისწრაფის ბრწყინვალე ნიმუში. ნორმით გათვალისწინებული 30 კილომეტრის ნაცვლად; იგი 53 კილომეტრს იძლევა **(ტაში).**

სტახანოვური მოძრაობა ფართოვდება.

ვიჩუგში მქსოველი ქალები დუსია და მარიამ ვინოგრადოვები, ნორმით გათვალისწინებული 16—24 დაზგის ნაცვლად, იწყებენ მუშაობას 70-100 დაზგაზე, ხოლო ახლა 144 დაზგაზედაც კი **(ტაში).**

ამ მოწინავეთა შემდეგ მრეწველობის ყველა დარგში და ტრანსპორტზე გამოდიან მოწინავე დამკვრელთა ფართო მასები და იძლევიან შრომის მაღალი ნაყოფიერების ნიმუშებს.

ასე უპასუხა ჩვენი სამშობლოს მუშათა კლასმა თავისი საყვარელი ბელადის ამხანაგ სტალინის მიერ მიმდინარე წლის მაისში წარმოთქმულ სიტყვას:

ამხანაგებო, დღეს თქვენ გაზეთებში წაიკითხავდით ურალის განადგურების თხუთმეტი წლისთავის ამბავს. თქვენ იქ ხედავთ ამხანაგ სტალინს, როგორც ამ გამარჯვების ორგანიზატორს და ხელმძღვანელს. ისე, როგორც სამოქალაქო ომის იმ სუსხიან წლებში ლენინისა და სტალინის მოწოდებაზე მოდიოდა ყოველივე საუკეთესო, რაც კი ჩვენს ქვეყანაში მოიპოვებოდა, რათა გაენადგურებიათ საბჭოთა ხელისუფლების მტრები, ისე სოციალიზმის გაშლილი მშენებლობის წლებშიც ამხანაგ სტალინის მოწოდებაზე გამოდიან საბჭოთა კავშირის მუშათა და კოლმეურნეთა, ინჟინერთა, ტექნიკოსთა, ყველა მშრომელთა მილიონიანი მასები სოციალიზმის ძლევამოსილი მშენებლობისათვის.

გაშლილი სტახანოვური მოძრაობა ორგანიზატორ მეთაურების, ინჟინერების, ტექნიკოსების წინაშე აყენებს ახალ ამოცანებს—მოაწყონ წარმოების ყველა რგოლი შრომის ნაყოფიერების უდიდეს ზრდასთან შეფარდებით.

ამავე დროს სამეურნეო მუშაკთა, ინჟინერ-ტექნიკოს მუშაკთა ზოგიერთი ნაწილი დაბნეულობას იჩენს. მათ ყოველთვის როდი შესწევთ უნარი სათავეში ჩაუდგნენ სტახანოველებს და შესაფერისად გარდაქმნან წარმოების ორგანიზაცია.

არიან ისეთებიც, რომლებიც მზად არიან ტაშით მიესალმონ და ესალმებიან კიდეც სტახანოვურ მოძრაობას, მაგრამ არ სურთ გამოიყვანონ საჭირო დასკვნები, სახელდობრ გაადიდონ პროდუქცია იმ ახალ შესაძლებლობასთან შეფარდებით, რომელსაც მზარდი სტახანოვური მოძრაობა იძლევა, და ჯერ კიდევ დაბორიალობენ ეგრეთწოდებული „ტექნიკურად დასაბუთებული ნორმების“ და „საპროექტო სიმძლავრეთა“ გარშემო. ეს, ამხანაგებო, არ გავა.

გუშინ მე გამოვკითხე ამხანაგ დონბასელებს: რას იტყვით, ამხანაგებო, თქვენ ანგრევთ ქვანახშირის ორ-სამ ნორმას, შეიძლება თუ არა ამ გამონგრეული ნახშირის, ორჯერ სამჯერ გადიდებული ნორმის გამოტანა ზედაპირზე? ისინი ამბობენ: შეიძლება, მაგრამ საჭიროა გავაფართოვოთ ვიწრო ადგილები, უნდა მოხდეს გამოგორების მექანიზაცია. ეს აბსოლუტურად სწორია.

ჩვენი ქვეყანა განიცდის ახალ მძაფრ აღმავლობას უდიდესი სახსრები, რომლებიც დაბანდებულია ჩვენს მრეწველობაში, ჩვენი პირველხარისხოვანი ტექნიკით შეიარაღებული საწარმოები, სტალინის მიერ აღზრდილ მუშათა, ინჟინერთა, სამეურნეო მუშაკთა მილიონების ხელში, რომლებიც ამ მოწინავე ტექნიკას ეუფლებიან,—საუცხოო შედეგებს იძლევიან.

სტახანოვური მოძრაობა ხდება სოციალისტური სამშობლოს საიმედო შვილთა ნამდვილ ხალხურ მოძრაობად.

ყველა სამეურნეო მუშაკის, ინჟინრის, ტექნიკოსის—წარმოების ყველა ნამდვილი მეთაურის ამოცანას წარმოადგენს ჩვენი ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით სათავეში ჩაუდგნენ ამ მოძრაობას და გასწიონ წინ ახალი და ახალი გამარჯვებებისაკენ სოციალიზმის მშენებლობის გზაზე. სოციალისტური მრეწველობის, ტრანსპორტის და სოციალისტური მიწათმოქმედების მეთაურისათვის არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს ამაზე უფრო საპატიო ამოცანა. და მაშინ, ჩვენ არაერთხელ მივალთ ამხანაგ სტალინთან, ამაყნი სასიხარულო ცნობებით, თუ როგორ ბოლშევიკურად ვახორციელებთ ჩვენ მის მითითებებს. **(მთელი თათბირის მქუხარე ხანგრძლივი ტაში).**

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და სსრ კავშირის სახკომსაბჭოს დავალებით მრეწველობისა და ტრანსპორტის სტახანოველ მუშათა პირველ საკავშირო თათბირს გახსნილად ვაცხადებ **(ტაში).**

ამხ. ორჯონიკიძე პირველ სიტყვას აძლევს ალექსი სტახანოვს, რომელსაც დამსწრენი ოვაციით ჰხვდებიან.

ჩემი გამოცდილება

ამხ. ალექსი სტახანოვის სიტყვა

ამხანაგებო, სანამ ჩემი მუშაობის გამოცდილებას გაგიზიარებდეთ, ნება მიბოძეთ გიამბოთ, თუ წინათ როგორ იყო ორგანიზებული წარმოება ჩვენს უბანზე, 8 შვერად დანაწილებულ 85 მეტრის სიგრძის ლავაში, რომლის ფენის სიმძლავრე 1,4 მეტრს უდრის, ცვლაში მუშაობდა 8—9 მნგრეველი. ჩვენ სანგრევი უროთი ვმუშაობდით. ყოველ მნგრეველს დაკისრებული ჰქონდა გამოენგრია და გაემაგრებია თავისი შვერი. ჩვეულებრივ ამ სამუშაოს მნგრეველები 2 ნახ.—3 საათში ასრულებდნენ. დანარჩენ დროს ჩვენ გამაგრებას ვანდომებდით. ასე იყო ორგანიზებული შრომა ორ ცვლაში. მესამე ცვლა სარემონტო იყო. იგი ამზადებდა სამუშაოს. და აი, ამხანაგებო, გამოდიოდა, რომ დღე-ღამის განმავლობაში სანგრევი ურო მუშაობდა სულ 5—6 საათს, ხოლო დანარჩენ დროს უმოქმედოდ იყო, იმის შესაძლებლობა კი იყო, რომ გამოგვენგრია ნახშირი, თუმცა კომპრესორები სრულ ორ ცვლაში გვაწოდებდნენ ჰაერს.

მნგრეველის ნაყოფიერება ბევრ რამეზეა დამოკიდებული. ჩამოვთვლი ძირითადს: პირველი—შვერის სიგრძე. მუშაობის ძველი სისტემის დროს, როცა შვერის სიგრძეს ჩვეულებრივ „ხანგრძლივი პრაქტიკის“ საფუძველზე განსაზღვრავდნენ, მისი უმნიშვნელო ზომა ხელს უშლიდა მნგრეველს სავსებით გაეშალა მუშაობა. მუშაობის ძველი ორგანიზაციის მეორე ნაკლი ის არის, რომ საჭირო ხდება ბევრი დროის დახარჯვა ძალიან შრომისტევად, მაგრამ სრულიად უნაყოფო პროცესზე, როგორიც არის პატარა სწორკუთხედის გამოჭრა—ჩვენს შახტებში მას „კუტოკს“ უწოდებენ. ეს სამუშაო მნგრეველისათვის ძალიან ძნელია, ვინაიდან მისი შესრულება ძალიან უხერხულ მდგომარეობაში გვიხდება. არ არის მაგარი დასაყრდენი და, ამას გარდა, ურო მუდამ დაკიდებული უნდა გეჭიროს. ბოლოს, წინათ არსებული სისტემის ნაკლი ის არის, რომ საჭიროა არა მარტო ქვანახშირის გამონგრევა, არამედ სანგრევი ადგილის გამაგრებაც. დღემდე ჩვენს შახტებში ფიქრობდნენ, რომ მნგრეველმა უსათუოდ კიდეც უნდა გამოანგრიოს ნახშირი და კიდეც უნდა გაამაგროს სანგრევი ადგილი. არავინ ფიქრობდა იმაზე, რომ გაენაწილებია ეს ორი პროცესი, თუმცა ნათელი იყო, რომ ნგრევიდან დამაგრებაზე გადასვლა და დამაგრებიდან ნგრევაზე გადასვლა დიდ დროს აკარგვინებდა მნგრეველს და რომ შრომის ასეთი ორგანიზაცია არ იძლევა იმის საშუალებას, რომ მთლიანად გამოვიყენოთ დრო და გავტვირთოთ მექანიზმები.

ამხ. ვასილ სტახანოვი

ერთი სიტყვით, ძველი სისტემის დროს მნგრეველის ინიციატივა განისაზღვრებოდა ნორმით და შვერის სიგრძით: თავისი შვერის გამონგრევის შემდეგ მნგრეველს, რა დიდი სურვილიც უნდა ჰქონოდა, არ შეეძლო ზედმეტის მოცემა.

როცა წავიკითხე ამხანაგ სტალინის სიტყვა სამხედრო აკადემიის მსმენელთა გამოშვებაზე 4 მაისს, მე ძალიან დავფიქრდი იმაზე, თუ რა უნდა გავაკეთო შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, მთელი ტექნიკის სრული გამოყენებისათვის. დონბასი ხომ უკანასკნელ წლებში შეიარაღებულია დიდძალი მანქანებითა და მექანიზმებით. საბჭოთა ნაწარმოები ჩვენი სანგრევი ურო ხომ ძალიან კარგად მუშაობს—საჭიროა მხოლოდ მისი დატვირთვა.

ახლოვდება ახალგაზრდობის საერთაშორისო დღე და მე განვიზრახე აღმენიშნა ეს დღე რეკორდით შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში. უნდა ითქვას, რომ ამ დღემდე ჯერ კიდევ დიდი ხნით ადრე ჩვენ შახტში პარტორგებთან ამხ. პეტროვთან და დიუკანოვთან ერთად ვფიქრობდით იმაზე, თუ როგორ დავამსხვრიოთ ნორმების ბორკილები, მივსცეთ მნგრეველს, გასაქანი, ვამუშაოთ უროები სრულ ცვლაში, და აი შახტში გადასწყვიტეს ჩაეშვან მნგრეველები მთელს ლავაში. აგვისტოს დამლევს ჩემს ბინაზე მოვიდნენ შახტის პარტორგი და უბნის უფროსი, რომლებმაც წინადადება მომცეს ჩავსულიყავი ლავაში. მე დიდი ხალისით მივიღე ეს წინადადება და 30 აგვისტოს ღამით წავედი სანგრევად. ჩემთან ერთად ლავაში ჩამოვიდნენ ორი მებიჯგე, უბნის უფროსი ამხ. მაშუროვი, შახტის პარტორგი ამხ. პეტროვი და მრავალტირაჟიანი გაზეთის რედაქტორი ამხ. მიხაილოვი. ძნელია ახლა ყოველივე იმის გადმოცემა, თუ რას განვიცდიდით ამ დროს მე და ჩემთან მყოფი ამხანაგები. მაგრამ მახსოვს, რომ ჩვენ ყველა დარწმუნებული ვიყავით ჩვენი საქმის წარმატებაში.

ლავაში დავიწყე ჩამოჭრა ზედა შვერიდან. ჯერ ვაკეთებდი ქვესადგომს, შემდეგ ვანგრევდი ფენას, რომელიც მიდიოდა ქვემოდან ზევით, ამავე დროს ვიღებდი ფენის ზედა ნაწილს და ზემოდან ქვევით ვიღებდი მიწიან ფენას. ასეთი ოპერაციები მე გავაკეთე ყველა რვა შვერში და ყოველ მათგანში ამოვსჭერი „კუტოკი“. ჩემს შემდეგ მუშაობას შეუდგა ორი მებიჯგე. ჩვენ დაძაბული ვმუშაობდით, მაგრამ დრო შეუმჩნევლად გავიდა. მე ვიმუშავე 5 საათსა და 45 წუთს. გავზომეთ და აღმოჩნდა, რომ მე ჩამოვიღე მთელი ლავა და გამოვანგრიე 102 ტონა.

როცა მიწის ზედაპირზე ამოვედი, უკვე თენდებოდა. აქ შემხვდნენ ამხანაგები და მაგრად ჩამომართვეს ხელი. მაგრამ უნდა ითქვას, რომ ჩვენს შახტში აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ერთბაშად არ სჯეროდათ, რომ მე ერთ ცვლაში შევძელი 102 ტონის გამონგრევა.

— ალბათ,—ამბობდნენ ისინი,—ეს მას წააწერეს, ამდენი ნახშირის გამონგრევა! ერთ ცვლაში ის ვერასოდეს ვერ შესძლებდაო.

საჭირო იყო საქმის განმტკიცება, საჭირო იყო დამემტკიცებია ყველა დაეჭვებულისათვის, რომ შესაძლებელია გამოანგრიო 102 ტონა და კიდევ მეტიც ისე, რომ ძალიან არ დასჩიო ძალღონე, ოღონდ წესიერად უნდა მოაწყო შრომა. და აი 3 სექტემბერს შახტში ჩავიდა პარტორგი იმავე უბნისა, რომელზედაც მე ვმუშაობ,—ამხ. დიუკანოვი. ამ უბანს ეწოდება „ნიკანორ ვოსტოკი“. დიუკანოვმა ერთ ცვლაში იმუშავა და მოგვცა 115 ტონა. მაგრამ არც დიუკანოვს დაუჯერეს ერთბაშად. საჭირო გახდა კიდევ ერთი კაცის ჩაშვება. მესამედ შახტში ჩავიდა კომკავშირელი კონცედალოვი, რომელმაც დაამყარა ახალი რეკორდი —125 ტონა. რამდენიმე დღის შემდეგ მე გადავაჭარბე როგორც ჩემს, ისე მათ რეკორდებს და ცვლაში გამოვანგრიე ჯერ 175, ხოლო შემდეგ 227 ტონა.

თავისთავად ცხადია, ჩემი რეკორდი რეკორდად დარჩებოდა, რომ აქედან მაშინვე არ გამოეყვანათ პრაქტიკული დასკვნები მთელი უბნისათვის, მთელი შახტისათვის.

ყველასათვის ნათელი გახდა, რომ უბანზე ისე შეიძლება მოეწყოს მუშაობა, რომ ასი პროცენტით გამოიყენო სანგრევი ურო, რომ რამდენჯერმე გადააჭარბო მნგრეველის შრომის არსებულ ნაყოფიერებას. საჭიროა მხოლოდ მოხდეს მუშათა შრომის მტკიცე სპეციალიზაცია: მნგრეველი უნდა ანგრევდეს, ხოლო მებიჯგე ამაგრებდეს. შვერები უნდა გადიდდეს. ჩემმა გამონგრევამ ერთბაშად გააცამტვერა წარმოდგენა ნორმებზე და მისი ანგარიშები და ამასთან დაკავშირებით, ჯერ უბანზე, ხოლო შემდეგ მთელს შახტში გადაწყდა სანახევროდ შეამცირონ შვერების რიცხვი და ამავე დროს გაადიდონ მათი სიგრძე.

აი რაში მდგომარეობს ძირითადად სანგრევი უროთი ჩემი მუშაობის მეთოდი.

5 სექტემბერს მოვიწვიეთ ჩვენი უბნის თათბირი და შევთანხმდით, რომ რვა შვერის ნაცვლად დაგვეტოვებინა მხოლოდ 4 შვერი—22 მეტრის სიგრძით. 23 მნგრეველის ნაცვლად დავტოვეთ 5 მნგრეველი, 5 მებიჯგე და ერთი კაცი დასვენების დროს შესაცვლელად. შრომის ასეთი ორგანიზაციის შედეგებმა ძალიან მალე მოახდინეს გავლენა ჩვენი უბნის მუშაობაზე. წინათ სანგრევი უროს შრომის ნაყოფიერება არ აღემატებოდა 13—14-ს გამოსვლაზე, ახლა კი იგი 60—65 ტონას უდრის. ამბობენ: მაგრამ მებიჯგეთა რიცხვმა ხომ იმატა? დიახ, იმატა. მაგრამ თუ ამ ნაყოფიერებას გავანაწილებთ მებიჯგეებზედაც, რომლებიც მნგრეველებთან ერთად მუშაობენ, იგი მაინც შეადგენს დაახლოვებით 30—32 ტონას ერთ კაცზე ლავაში. მთლიანად უბანზე ქვანახშირის ამოღება 300—335 ტონამდე გაიზარდა. წინათ კი უბანი იძლეოდა დიდი-დიდი 250 ტონას. ამას ისიც უნდა დაუმატოთ, რომ ადამიანთა შტატი უბანზე 19 კაცით შემცირდა: წინათ იყო 117 მუშა, ახლა კი 98-ა. შრომის სწორმა ორგანიზაციამ საშუალება მოგვცა ადამიანთა იმავე რაოდენობით მივიღოთ მეტი ქვანახშირი. მუშებს ჩვენ არ ვამცირებთ, არამედ გადაგვყავს ისინი იმავე შახტის სხვა მოსამზადებელ სამუშაოებზე.

ლავაში მუშაობის ახალი მეთოდით გარდაქმნამ თან გაიყოლია ქვანახშირის ამოღების ყველა დანარჩენი რგოლი. ახლა ჩვენთან გამოგორებაზედაც და მოსამზადებელ სამუშაოებზედაც, თუმცა ჯერ კიდევ ყველგან არა, მაგრამ მაინც ამოძრავდნენ და დაიწყეს, როგორც ახლა ლაპარაკობენ, — სტახანოვურად მუშაობა. როცა რამდენიმე ხნის შემდეგ მთელი შახტა ახლებურად მუშაობაზე გადავიდა, ჩვენ მივაღწიეთ წარმატებას ყველა უბანზე. წინათ, ორი-სამი თვით ადრე, ჩვენ დღე-ღამეში ვიძლეოდით 900—950 980 ტონას, ახლა კი ვიძლევით 1.280—1.300 ტონას. საერთოდ ჩვენ გავმაგრდით 1.200 ტონაზე დღე-ღამეში.

ახლა მინდა გიამბოთ ხელფასის შესახებ. შრომის მაღალმა ნაყოფიერებამ, რაც მუშათა მტკიცე სპეციალიზაციის წყალობით იქნა მიღ-

(დასასრული იხ. მე-2 გვ.)

სტახანოველთა პირველი საკავშირო თათბირი

ამხ. სტახანოვის სიტყვის დასასრული

წეული, გამოიწვია ხელფასის გადიდებაც. რა ხელფასს ვღებულობდით წინათ შახტში? მე ვაკეთებდი არც თუ ისე ცოტას. — 500 მანეთს, ხოლო ზოგჯერ 600 მანეთსაც თვეში. მაგრამ ახლა სექტემბერში, მაგალითად, 18 გამოსვლაში გავაკეთე ათასი მანეთი. ჩვენმა პარტორგმა ამხ. დიუკანოვმა — 1.338, ხოლო ამხ. კონცედალოვმა — 1.618 მანეთი. ოქტომბერში მე მხოლოდ 14-ჯერ გამოვედი. ძალიან ბევრი მოგზაურობა მომიხდა. მაგრამ ამ თოთხმეტ გამოსვლაშიც გავაკეთე 1.008 მანეთი. ჩემმა პარტორგმა ამხ. დიუკანოვმა მეტი სართავი გააკეთა და გამოიმუშავა 1.400 მანეთი, ამხ. კონცედალოვმა — 1.600 მანეთი. ამჟამად ჩვენ ძალიან დიდ ხელფასს ვღებულობთ; ეს ხელფასი საშუალებას გვაძლევს ახლა სულ სხვანაირად ვიცხოვროთ. მე მინდა მოვიგონო ჩემი წინანდელი ცხოვრება.

მე თვითონ ორლოველი ვარ. ჩვენი სოფელი ძალიან ღარიბი სოფელი იყო. ჩვენს ოჯახს ძლივს-ძლივობით გაჰქონდა თავი. ჩემი პაპაც და მამაც ქალაქში მიდიოდნენ სამუშაოდ. დამოუკიდებელი ცხოვრება დავიწყე თორმეტი წლისა რომ ვიყავი, როცა სამუშაოდ დავდექი წისქვილში კულაკთან. განთიადიდან დაღამებამდე ტომრებს ვზიდავდი, ხოლო ღამით ცხენებს ვუვლიდი, მას 40 ცხენი ჰყავდა. ძალიან მიმძიმდა.

ჩემი ცხოვრება დაიწყო აი აქ, შახტში. აქ „იარმინოზე" 1927 წელს მოვედი. მუშაობა დავიწყე მფოლცხავად — ეს არ არის მაღალი კვალიფიკაცია. გულახდილად გეტყვით: შახტის მეშინოდა — მუდამ მახსოვდა პაპაჩემის სიტყვები: „შახტა ეს — კატორღაა. ტყუილად დაჰკარგავ ძალღონეს, დაიღუპები".

ჩავედი შახტში ერთხელ, მეორედ — არაფერია, გავუძელი, ხოლო შემდეგ მივეჩვიე, ჩავები. მალე ცხენის გამრეკი გავხდი. ეს სამუშაო ჩემთვის ნაცნობი იყო. ცხენების მოვლას პატარაობიდანვე ვიყავი შეჩვეული. გავიდა ცოტა ხანი. მე სამუშაოდ გადავედი ნგრევაზე. ჯერ ვანგრევდი წერაქვით, ხოლო შემდეგ სანგრევი უროების შემოღების შემდეგ — უროთი.

ამოცანად დავისახე — რადაც უნდა დამიჯდეს, კარგად ვიმუშაო სანგრევი უროთი. დავიწყე სწავლა. ვუყურებდი, თუ როგორ მუშაობდნენ სხვები. თანდათანობით ავითვისე სამუშაო და მივაღწიე 5—6 ტონას უროზე. ხოლო როცა შახტში სანგრევი უროს შემსწავლელი კურსები გაიხსნა, დავიწყე მთელი 12—13 ტონის დაძლევაც. შემდეგ „ფრიადზე" ჩავაბარე სახელმწიფო ტექნიკური გამოცდა. მტკიცედ ჩავები მუშაობაში, გავხდი პირველხარისხოვანი ოსტატი, დავიწყე მუშაობა მნგრეველად სხვებთან ერთად და არ ჩამოვრჩებოდი.

დიახ, ახლა ბევრი რამ შეიცვალა ჩემს მუშაობაში. შეიცვალა ჩემი ოჯახის ცხოვრებაც. ჩემი ოჯახი დიდი არ არის: ცოლი და ორი ბავშვი. შვიდი წლის განმავლობაში ჩემი ცოლი შეეზარდა მაღაროს, გახდა მაღაროელი ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით და ახლა ცხოვრობს ჩემი ინტერესებით, შახტის ინტერესებით.

ამხანაგებო, უკანასკნელი ორი თვის განმავლობაში ყოველ დღეს მოაქვს ახალი რეკორდები, რომლებსაც აღწევენ ჩვენი ქვანახშირის დონბასის მნგრეველები და სხვა ბასეინების მნგრეველებიც. მუშაობის ახლებურად ორგანიზაცია განუსაზღვრელ შესაძლებლობას გვაძლევს, რათა დღემდე უმაგალითო სიმაღლეზე ავიყვანოთ მნგრეველებისა და მექანიზმების შრომის ნაყოფიერება.

საქმე, რასაკვირველია, ის კი არ არის, რომ ათეულმა ან თუნდაც რამდენიმე ასეულმა მნგრეველმა დაამყაროს ესა თუ ის რეკორდი. ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მაღალი მაჩვენებლები, რომლებსაც ქვანახშირის ფრონტის ცალკეულმა დამკვრელებმა მიაღწიეს, საშუალო მაჩვენებლებად გახდეს ყველა შახტაში, ყველა ბასეინში. ჩემის აზრით, მთავარია ის, რომ საუკეთესო მნგრეველთა გამოცდილება გადაეცეთ ყველა მაღაროელს. ჩვენს შახტში მოწყობილია გამოცდილების გაზიარება, რისთვისაც ვიწვევთ სპეციალურ თათბირებს კვალიფიკაციის მიხედვით, ვაწყობთ სპეციალურ „სტახანოვურ საათს" სკოლებში და სხვ. ეს შემდეგნაირად კეთდება: შედგენილია უბნის სამუშაოს ესკიზი, რომლიდანაც ჩანს, თუ როგორ უნდა მივუდგეთ ამა თუ იმ სამუშაოს. როგორ უნდა მოვიხმაროთ სანგრევი ურო, რა უნდა გავაკეთოთ იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ მექანიზმების სრული დატვირთვით მუშაობა მთელს სამუშაო ცვლაში.

ჩვენს შახტში უკვე არის რამდენიმე ასი მაღაროელი, რომლებიც იძლევიან 2-3-4 და მეტ ნორმებს. ჩვენი შახტა სტახანოვური ხდება! პარტორგანიზაციის ინიციატივით ერთერთ კრებაზე მაღაროელებმა გამოიტანეს საბრძოლო გადაწყვეტილება. სრულიად დონეცის ქვანახშირის ოსტატთა მომავალ შეკრებაზე გავგზავნონ ათასი დელეგატი, არა ნაკლები. ეს გადაწყვეტილება ბევრ რამეს გვავალებს. ჩვენ, ისე როგორც მთელი საბჭოთა კავშირის შახტებმა, უნდა გამოვზარდოთ ქვანახშირის ათასი ოსტატი. ეს მუშაობა დადებით შედეგებს მოგვცემს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საუკეთესო ოსტატებთან ერთად საქმეს ხელს მოჰკიდებს მთელი ინჟინერ-ტექნიკოსთა პერსონალი, თუ სამეურნეო მუშაკები უფრო ცოცხლად და უფრო მალე გამოეხმაურებიან ჩვენს საჭიროებებს, ჩვენს წინადადებებს, თუ პარტიული ორგანიზაციები აამოძრავებენ მაღაროელთა მთელ მასას იმისათვის, რომ ერთი სამად-ერთი ოთხად გაადიდონ ქვანახშირის ამოღება და განახორციელონ ჩვენი რკინის სახკომის ამხ. ორჯონიკიძის საბრძოლო ბრძანება ქვანახშირის დონბასის ხუთწლედის ოთხ წელიწადში შესრულების შესახებ.

მას შემდეგ, რაც დავამყარე სანგრევი უროთი შრომის ნაყოფიერების რეკორდი, დონბასის მუშათა კლასში და სახალხო მეურნეობის ყველა დარგში დაიწყო ფართო მოძრაობა შრომის ნაყოფიერების მსოფლიოში დღემდე უმაგალითო მაჩვენებლებისათვის. მართალი მოგახსენოთ მე არ ვიცი, რატომ უწოდებენ ამ მოძრაობას სტახანოვურ ლაშქრობას. ჩვენი გამარჯვებათა სულისჩამდგმელნი იყვნენ ჩვენი პარტიის და საბჭოთა კავშირის ხალხთა საყვარელი ბელადი ამხანაგი სტალინი და ბოლშევიკების პარტია, რომელსაც იგი ხელმძღვანელობს.

მას, დიდ სტალინს, უნდა ვუმადლოდეთ ჩვენ ყველანი ჩვენი ქვეყნის ბედნიერი ცხოვრებისთვის, ჩვენი მშვენიერი სამშობლოს სიხარულისა და სახელისთვის. ჩვენ მზადა ვართ მთელი ჩვენი სიცოცხლე ბოლომდე შევსწიროთ მას, ბოლშევიკურ პარტიას, საყვარელ სამშობლოს (მქუხარე ტაში. ყველა ფეხზე დგება და მიესალმება ამხ. სტახანოვს).

ლენინის რაიონის სტახანოველთა შეკრება

14 ნოემბერს საქ. კ. პ. (ბ) ლენინის სახ. რაიკომში გაიმართა სტახანოველთა შეკრება. შეკრებას დაესწრო 206 კაცი. ვრცელი მოხსენებით გამოვიდა რაიკომის მდივნის მოადგილე ამხ. მაჟავარიანი, რომელმაც შეკრებას გააცნო, თუ როგორ ახორციელებენ სტახანოვის მუშაობის მეთოდებს ლენინის რაიონის ფაბრიკა - ქარხნები. მომხსენებელმა აღნიშნა, 26 კომუნარის ქარხნის [illegible] ამწყობს აკოფოვს საუკეთესოდ აქვს მოწყობილი შრომის ორგანიზაცია. სამუშაო იარაღებით იგი უზრუნველყოფილია და საუკეთესოდ უვლის მას. საჭირო იარაღი დაზგასთან ახლო აქვს შენახული და არ სჭირდება მუშაობის დროს მისი ძებნა. ის ადრე მოდის სამუშაოდ, გულდასმით სინჯავს და აწყობს დაზგას. სამუშაო დროის განმავლობაში სრული დატვირთვით მუშაობს, რითაც გეგმას გადაჭარბებით ასრულებს. აგვისტოს გეგმა მან 210 პროცენტით შეასრულა, ოქტომბრისა 40 პროცენტით და ხელფასი მიიღო 1106 მანეთი. წინათ კი აკოფოვი 300 მანეთის მეტს ვერ ღებულობდა.

აი, კიდევ ახალგაზრდა სტახანოველი ამხ. ქოჩლამე. იგი 19 წლისაა, მუშაობს 26 კომუნარის ქარხანაში მანქანების ამწყობად. გეგმებს გადაჭარბებით ასრულებს; ამას მიაღწია მონდომებული და ენერგიული მუშაობით. წინათ ქოჩლამე ღებულობდა არა უმეტეს 300 [illegible]. მან ფართოდ გამოიყენა სტახანოვის მეთოდი და სექტემბრის გეგმა 250 პროცენტით შეასრულა, ხელფასად მიიღო 600 მანეთი.

ამხ. მაჟავარიანმა დასახა კონკრეტული ღონისძიებები სტახანოვის მეთოდის უფრო ფართოდ დანერგვისათვის. მან განაცხადა — არ შეიძლება დავკმაყოფილდეთ მარტო იმ მიღწევებით, რომელიც დღეს გვაქვს. საჭიროა სტახანოველებს შევუქმნათ ნორმალური მუშაობისათვის ყველა პირობა და გავამრავლოთ მათი რიგები.

მოხსენების შემდეგ სიტყვებით გამოვიდნენ სტახანოველები და ფაბრიკა - ქარხნების ხელმძღვანელები. ტანისამოსის [illegible] ფაბრიკის ოსტატმა ამხ. სააკოვმა განაცხადა:

— მე რომ მოვედი ფაბრიკაში, ბევრი დაზგა უქმად იდგა, რადგან სამუშაო არ იყო. მე უსაქმოდ არ შემეძლო წარმოებაში ყოფნა. დავაყენე დირექტორთან მასალების მოწოდებისა და დაზგების ამუშავების საკითხი. დირექტორი დამეხმარა. აამოძრავეს დაზგები. გაჩაღდა მუშაობა. ახლა დავალებებს ჩემი ბრიგადა გადაჭარბებით ასრულებს. დღევანდელი გეგმა 180 პროცენტით შევასრულეთ.

[illegible] სიტყვით გამოვიდნენ კობახიძე, აკოფოვი, ქოჩლამე, კეშაშვილი, პოლოსოვი, ბურეში, სიტნიკოვი და სხვანი.

იძლევიან პირობას

ტფილისის სასკოლო - საკანცელარიო ნივთების ფაბრიკის მუშებმა 4 ნოემბერსვე განიხილეს გეგმების სანიმუშოდ შესრულებისთვის, 3 ნოემბერს გამოცხადებული კონკურსის პირობები. მუშებმა ეს პირობები ერთხმად მიიღეს და სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვიეს მოლოტოვის სახელობის ავეჯეულობის ქარხანა. თავის მხრით იკისრეს, რომ წლიურ გეგმას 20 დეკემბრამდე შეასრულებენ და პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებასთან ერთად თვითღირებულებას 9,5 პროცენტით შეამცირებენ.

საპარლამენტო არჩევნები ინგლისში

ლონდონი, 15 ნოემბერი. 328 ოლქში ხმების გამოანგარიშების თანახმად თემთა პალატაში არჩეულია:

209 კონსერვატორი, 6 ნაციონალ-ლეიბორისტი, 15 ნაციონალ-ლიბერალი (საიმონის ჯგუფი), 1 დამოუკიდებელი კონსერვატორი. სულ მთავრობის მომხრე — 231; 88 ლეიბორისტი, 9—ოპოზიციონერი ლიბერალი.

ამ ოლქებში კონსერვატორებმა დაჰკარგეს 85 და მოიგეს 5 ადგილი, ხოლო ლეიბორისტებმა მოიგეს 51 და დაჰკარგეს 4 ადგილი. რეიტერის სააგენტოს სიტყვით, მთავრობის უმრავლესობის შემცირება თემთა პალატაში არ იქნება ისეთი მნიშვნელოვანი, როგორც ამას წინათ ფიქრობდნენ.

ლონდონი, 15 ნოემბერი. 19 საათსა და 30 წუთზე მოსკოვის დროით მიღებული ცნობები 527 ოლქში მომხდარი არჩევნების შესახებ მოწმობენ, რომ ამ ოლქებში მთავრობის ბლოკმა მიიღო 378 ადგილი, ხოლო ოპოზიციურმა პარტიებმა და დაჯგუფებებმა—149 ადგილი. საერთოდ ლეიბორისტებმა მოიგეს 77 ადგილი.

615 საარჩევნო ოლქის საერთო რიცხვიდან გამოურკვეველი დარჩა შედეგები 88 ოლქში. ლეიბორისტების კანდიდატმა შინუელმა გაიმარჯვა მაკდონალდზე სიხემში, მიიღო რა 20 ათასი ხმით მეტი. ჯონ საიმონი (ნაციონალ-ლიბერალთა ბელადი) გავიდა 642 ხმის უმრავლესობით. იდენი არჩეულ იქნა საგრძნობი უმრავლესობით. ჩერჩილი არჩეულია 20 ათასი ხმის უმრავლესობით. აგრეთვე გაიზარდა ლოიდ-ჯორჯის მიერ მიღებული ხმების უმრავლესობა.

მუშათა დამოუკიდებელმა პარტიამ თემთა პალატაში გაიყვანა თავისი მეოთხე წარმომადგენელი: გარდა მექსტონისა, მაკგოუანისა და ბიუკენენისა, რომლებიც ხელახლა არჩეული არიან, არჩეულია აგრეთვე კემპბელ სტეფენი, რომელმაც დაამარცხა კონსერვატორი.

ლონდონი, 15 ნოემბერი. უკანასკნელი ცნობების თანახმად, 428 ოლქში არჩეულია: 277 კონსერვატორი, 7 ნაციონალ ლეიბორისტი, 23 ნაციონალ-ლიბერალი (საიმონის ჯგუფი), 1 დამოუკიდებელი კონსერვატორი. სულ მთავრობის მომხრეები—308, ლეიბორისტები—108, ოპოზიციონერი ლიბერალები (სემიუელის ჯგუფი)—10. ლოიდ ჯორჯის ჯგუფის ლიბერალები—2.

ამ ოლქებში კონსერვატორებმა დაჰკარგეს 45 ადგილი, ნაციონალ-ლეიბორისტებმა—5, ნაციონალ-ლიბერალებმა—4 და ლიბერალებმა—6 ადგილი, ხოლო ლეიბორისტებმა საერთოდ მოიგეს 60 ადგილი.

რამზეი მაკდონალდი და მისი შვილი მალკოლმ მაკდონალდი დამარცხდნენ. იდენი არჩეულია, ხელახლა არჩეულია აგრეთვე საიმონი (ადს).

იაპონიის სამხედრო სამინისტროს ცირკულარი

ტოკიო, 14 ნოემბერი. „იომიური" იუწყება, რომ სამხედრო სამინისტრომ 13 ნოემბერს სამხედრო ატაშეს შანხაიში ისოგაის და იაპონიის სამხედრო რეზიდენტებს ჩინეთში დაუგზავნა ცირკულარული დეპეშა, რომლითაც წინადადებას აძლევს მათ „მხედველობაში იქონიონ, რომ ატმოსფერო მთელს ჩინეთში დღითი-დღე უარესდება". ამიტომ საჭიროა მუდმივი კავშირი იქონიონ საგარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებთან და საზღვაო ხელისუფლებასთან „სათანადო ღონისძიებათა შემუშავების მიზნით, რათა თავი გაართვან ყოველგვარ მდგომარეობას" (ადს).

ეგვიპტის ამბები

ლონდონი, 14 ნოემბერი. ქაიროდან (ეგვიპტე) უკანასკნელად მიღებული ცნობების თანახმად, დღეს იქ მოხდა ახალი დემონსტრაციები და შეტაკებანი. ქ. გიზის 1000 ნაციონალისტი, რომლებიც მჭრელი იარაღით იყვნენ შეიარაღებული, დღეს შეეცადა ქაიროში შეჭრას, მაგრამ ისინი შეაჩერა პოლიციის ძლიერმა რაზმმა ინგლისელი ოფიცრის სარდლობით. ოფიცერმა დემონსტრანტებს წინადადება მისცა უკან გაბრუნებულიყვნენ, მაგრამ უკანასკნელებმა ამაზე უარი განაცხადეს. მაშინ ოფიცერმა იძრო რევოლვერი და მოჰკლა 4 დემონსტრანტი (ადს).

იტალია-აბისინიის ომი

ლონდონი, 14 ნოემბერი. „ტაიმსის" კორესპონდენტი ადის-აბებიდან იუწყება, რომ აბისინიის ოფიციალურ წრეებში უარყოფენ ცნობებს იტალიელთა მიერ სახა-ბენეს და დაგა-ბურას აღების შესახებ, თუმცა იტალიელთა მცირერიცხოვანი მექანიზებული რაზმი ცდილობდა სახა-ბენესათვის ალყა შემოერტყა. იტალიელთა ეს ცდები, აბისინელთა სიტყვით, პარტიზანთა რაზმების მოქმედების გამო უშედეგო აღმოჩნდა.

ინგლისური გაზეთებისა და დეპეშათა სააგენტოების იმ კორესპონდენტების ცნობათა თანახმად, რომლებიც იმყოფებიან იტალიის ჯარების შტაბებთან ჩრდილოეთის ფრონტზე, მაკალე ამჟამად უჭირავს იტალიელთა შემტევი არმიის მხოლოდ მოწინავე რაზმს. კორესპონდენტების სიტყვით, იტალიის ზურგში სწარმოებს სერიოზული ბრძოლა პარტიზანულ რაზმებთან.

იტალიის ჯარების შემდგომ წინსვლას ძლიერ აფერხებს თითქმის სრული უგზოობა. „ტაიმსის" კორესპონდენტის სიტყვით, იტალიის ჯარები მაკალე-ს რაიონში უტევენ ქვეითად, რადგან უგზოობა საშუალებას არ იძლევა სატვირთო ავტომობილების, ტანკებისა და საველე არტილერიის მოძრაობისათვის.

როგორც იუწყებიან, რასი ხეიუმი თავისი ჯარების ნაწილით იმყოფება დაახლოვებით 40—50 კილომეტრის მანძილზე მაკალეს ჩრდილოეთით, იტალიის ჯარების ზურგში. იტალიის სარდლობამ გასცა ბრძანება აღმოჩენილ იქნას რასი ხეიუმის მიმალული ნაწილები.

რომი, 14 ნოემბერი. იტალიის ოფიციალურ წრეებში უარყოფენ უცხოეთის პრესაში გამოქვეყნებულ ცნობებს, თითქოს, აბისინელებს ხელთ ეგდოთ იტალიის ოთხი ტანკი და დაემარცხებინოთ იტალიის არმიის რაზმი. მაგრამ იტალიური გაზეთები ჯერ-ჯერობით არ ეხებიან უცხოური გაზეთების ცნობებს, ვითომ აბისინელები შეჭრილიყვნენ იტალიურ სომალიში და ემზადებოდნენ ალყა შემოარტყან იტალიელთა მომქმედ არმიას.

„მესაჯერო" ეხება ფრონტების მდგომარეობას და სწერს, რომ ამჟამად მიმდინარე ოპერაციებს, „როგორც ჩანს, გადამწყვეტი ხასიათი აქვთ".

ჩრდილოეთის ფრონტზე აბისინელებმა, გაზეთის ცნობებით, დასახეს თავდაცვის სამი ხაზი: თოგორის მთებში, ადანის ტყის რაიონში და აბის მთებში, 5—9 კილომეტრის მანძილზე ამ ტბის სამხრეთით.

დასავლეთის ფრონტზე იტალიის ჯარის კოლონები მიიწევენ სუდანის საზღვრის გასწვრივ და ცდილობენ ხელთ იგდონ აბისინიისაკენ მიმავალი ტრანსპორტები.

ენდა-კეროტის რაიონში აბისინელთა დიდმა რაზმმა იერიში მიიტანა იტალიის ჯარებზე.

იტალიური გაზეთების ცნობით, ოგადენის ფრონტის სარდალმა რასმა ნასიბუმ თავისი ჯარები უკან დაწია თავდასაცავი პოზიციებისაკენ ხარარის მახლობლად, სადაც იგი დამხმარე ძალებს მოელის.

იტალიური ცნობებითვე სულთანი აუხა (საფრანგეთის სომალის მახლობლად) გადავიდა იტალიის ჯარების მხარეს 5 ათასი კაცით. „სტამპა" აცხადებს, ეს საგრძნობლად გაუადვილებს იტალიელებს რკინიგზის ხაზისაკენ წინწაწევას (ადს).

აბისინიის ჯარებმა ხელთ იგდეს იტალიის ქარავანი

ლონდონი, 14 ნოემბერი. ადის-აბებაში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ აბისინიის ჯარებმა გუშინ მაკალედან ჩრდილოეთით ხელთ იგდეს იტალიის ქარავანი, რომელიც 61 ჯორისაგან შესდგება. ქარავანი დატვირთულია სურსათით და სამხედრო საჭურველით. გააფთრებული შეტაკების დროს იტალიელები დიდად დაზარალდნენ. აბისინელებმა ხელთ იგდეს 100 თოფი (ადს).

იტალიის ჯარების გაგზავნა აღმოსავლეთ-აფრიკაში

ლონდონი, 14 ნოემბერი. ბრიტიშ იუნაიტედ პრესის სააგენტოს გადმოცემით, 6-დან 12 ნოემბრამდე სუეცის არხი გაიარა 10 გემმა 9.476 ავადმყოფი და დაჭრილი იტალიელი ჯარისკაცით, რომლებსაც აღმოსავლეთ-აფრიკიდან იტალიაში ჰგზავნიან. ამავე პერიოდში იტალიიდან მოვიდა 12 იტალიური სამხედრო ტრანსპორტი 15.651 ჯარისკაცით და დიდძალი ტვირთით, კერძოდ 2 ათასი ყუთი ყუმბარით (ადს).

სანქციები იტალიის წინააღმდეგ

ვარშავა, 14 ნოემბერი. როგორც „გაზეტა პოლსკა" იუწყება, პოლონეთის მიერ იტალიის წინააღმდეგ სამეურნეო სანქციების გამოყენებასთან დაკავშირებით, ფინანსთა სამინისტრომ გამოსცა განკარგულება, რომელიც პოლონეთის საბაჟო ხელისუფალთ 18 ნოემბრიდან უკრძალავს იტალიური წარმოშობის საქონლის გატარებას პოლონეთის ტერიტორიაზე (ადს).

იტალიის პასუხი ამხ. შტეინის პროტესტზე

რომი, 13 ნოემბერი. პასუხად საბჭოთა კავშირის სრულუფლებიანი წარმომადგენლის ამხ. შტეინის მიერ იტალიის მთავრობისათვის განცხადებული პროტესტისა იმ ინციდენტების წინააღმდეგ, რომლებიც საბჭოთა მოქალაქეებს ლივორნოსა და გენუაში შეემთხვათ, საგარეო საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ბ-მა სუვიჩმა ამხ. შტეინის წინაშე გამოსთქვა იტალიის მთავრობის მწუხარება მომხდარი შემთხვევების გამო და გააცნო მას ინციდენტების გამოსაძიებლად მიღებული ზომები (ადს).

ინგლის-იტალიის ურთიერთობა

ლონდონი, 14 ნოემბერი. „დეილი ტელეგრაფის" დიპლომატიური მიმომხილველი ეხება მუსოლინის მოლაპარაკებას ინგლისის და საფრანგეთის რომაელ ელჩებთან და სწერს, დღემდე არ მოიპოვება არავითარი რეალური საბუთი, — რომელიც ხმელთაშუა ზღვის ბასეინში დაძაბული ურთიერთობის შენელებას ამტკიცებსო. მუსოლინიმ, მიმომხილველის სიტყვით, უარი სთქვა ეკისრა რაიმე ვალდებულება ლივიიდან იტალიის ჯარების შემდგომი გაყვანის შესახებ და ის აზრი გამოსთქვა, რომ მხოლოდ-და-მხოლოდ ინგლისია პასუხისმგებელი ინგლის-იტალიის ურთიერთობის გამწვავებისათვის. მუსოლინი, — განაგრძობს მიმომხილველი, — მოითხოვს, რათა ინგლისმა გაიყვანოს თავისი ფლოტის ნაწილი ხმელთაშუა ზღვიდან და იკისროს ვალდებულება, რომ მომავალში მისი საზღვაო ძალები ხმელთაშუა ზღვაში არასოდეს არ აღემატებოდეს გარკვევით დაწესებულ პროპორციას იტალიის ფლოტის მიმართ (ადს).

კომუნისტების გადასახლება საბერძნეთიდან

ათინა, 14 ნოემბერი. გუშინ კუნძულებზე გადაასახლეს კომუნისტთა ახალი ჯგუფი — 80 კაცი. იუწყებიან, რომ უკანასკნელ დროს საბერძნეთში დააპატიმრეს და კუნძულებზე გადაასახლეს დაახლოებით 2 ათასი კაცი. (ადს).

ტელმანის განთავისუფლებისათვის ბრძოლის კომიტეტის დეკლარაცია

პარიზი, 14 ნოემბერი. ტელმანისა და ფაშიზმის ყველა მსხვერპლის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტმა გამოაქვეყნა დეკლარაცია, რომელშიაც აღნიშნულია:

„საფრანგეთის, ინგლისისა და ჩეხოსლოვაკიის გაზეთები ბოლო დროს იუწყებიან, რომ ტელმანის პროცესი უახლოეს დროს გაიმართება. ზოგი გაზეთი იმასაც კი ამტკიცებდა, პროცესი 13 ნოემბერს დაიწყებაო. ტელმანის დაცვის საერთაშორისო კომიტეტმა მაშინვე მიმართა ბერლინის ხელისუფალთ, აგრეთვე გერმანიის ვექილებს, მაგრამ კონკრეტული პასუხი ვერ მიიღო. ვექილები აცხადებდნენ, პროცესის დაწყებისა არაფერი ვიცითო. ოფიციალურმა სააგენტომ „დოიჩე ნახრიხტენ ბიურომ" ბუნდოვანი პასუხი მოგვცა".

ტელმანის განთავისუფლებისათვის ბრძოლის საერთაშორისო კომიტეტი აფრთხილებს საზოგადოებრივ აზრს, რომ ტელმანის პროცესი შეიძლება უეცრად დაიწყოს და სიფხიზლისაკენ მოუწოდებს სამართლისა და სამართლიანობის ყველა გულწრფელ მომხრეს. დეკლარაციაში დასასრულ აღნიშნულია, რომ ტელმანის პროცესი, ისე, როგორც თავის დროზე დიმიტროვის წინააღმდეგ მოწყობილი პროცესი, იქნება „სამართლიანობისა და ბარბაროსობის გააფთრებული ბრძოლა" (ადს).

პანიკა შანხაიში

შანხაი, 14 ნოემბერი. შანხაიში იაპონიამ გადმოსხა ახალი დესანტი; ამავე დროს ვრცელდება ხმები, რომ იაპონიის სამხედრო ხელისუფლებას განზრახვა აქვს თვითონ მიიღოს ზომები, ვინაიდან ჩინეთის ხელისუფლებამ და საერთაშორისო პოლიციამ ვერ აღმოაჩინა იაპონელი მეზღვაურის მკვლელი და იაპონელის მაღაზიაზე თავდამსხმელი. ამან ძლიერი პანიკა გამოიწვია შანხაიში და განსაკუთრებით ჩაპეიში. ხონიუს მთავარი ქუჩები, რომლებიც ჩაპეიდან საერთაშორისო სეტლმენტში გადის, ჩინელი ლტოლვილებით არის ავსებული. როგორც მნახველები გადმოგვცემენ, პოლიცია ცდილობს შეაჩეროს ლტოლვილები. ამ ნიადაგზე მრავალი შეტაკება ხდება ლტოლვილებსა და პოლიციას შორის. დიდი მღელვარების თავიდან ასაცილებლად, პოლიცია იძულებულია შეურიგდეს ჩაპეის სტიქიურ ევაკუაციას (ადს).

მარშალ სუნ ჩუან-ფანის მოკვლა

ფეიპინი, 14 ნოემბერი. გუშინ დილით ბუდისტთა ტაძარში, რომელიც ტიან ძინის ჩინურ ნაწილში იმყოფება, ლოცვის დროს მოჰკლეს მარშალი სუნ-ჩუან-ფანი. მკვლელი აღმოჩნდა 30 წლის ქალი, რომელმაც დაპატიმრების წინ განაცხადა, რომ მან მოჰკლა სუნ ჩუან-ფანი, რათა შური ეძია თავისი მამის — გენერალ ში ჩუნ-ბინის სიკვდილისათვის. გენერალი ში ჩუნ-ბინი სუნ ჩუან-ფანმა სიკვდილით დასაჯა 1924 წელს შანდუნში.

ამასწინათ სუნ ჩუან-ფანს დაჟინებით ასახელებდნენ, როგორც დამოუკიდებელი ჩრდილო-ჩინეთის მთავრობის ერთერთ შესაძლო ხელმძღვანელს. ეს მთავრობა იაპონიის მილიტარისტებს უნდა შეედგინათ (ადს).

ქ. გორდელაძე

ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის

შეცდომები ბოლომდე უნდა იქნას აღიარებული*)

II. კაუცკური გრამოფონი ტროცკისტული ფირფიტით

ჩვენ რომ არ გვცოდნოდა, თუ რა შეფასებას აძლევს ამხ. მ. ორახელაშვილი მენშევიზმ-ცენტრიზმს, მაშინ გაგვიკვირდებოდა როცა გავიგებდით, რომ ერთ ქვეყანაში პროლეტარული რევოლუციისა და სოციალიზმის გამარჯვების საკითხს იგი ტროცკისტულად განმარტავდა. მაგრამ ეს რომ ვიცით, აღარ უნდა გვიკვირდეს, ვინაიდან მენშევიზმის კლასობრივ-პოლიტიკური ბუნების მის ზემოაღნიშნულ შეფასებას ბევრი არაფერი უკლია აშკარა ტროცკისტულ დებულებებამდე. ამხ. მ. ორახელაშვილმა საჭიროდ არ სცნო თვითკრიტიკის წესით აღიარებინა, რომ მის ნაშრომში—„პროლეტარული რევოლუციის საკითხები"—გატარებულია აშკარა ტროცკისტული დებულებანი.

როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნეთ, თავის ნაშრომში ამხ. მ. ორახელაშვილი იზიარებს ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობის ბურჟუაზიულ უარყოფის ტროცკისტულ თეორიას. მაგალითად, იგი სწერს: „რა გინდ ძლიერი, ორგანიზებული და მტკიცე დისციპლინით შედუღებული უნდა იყვნენ რომელიმე ქვეყნის პროლეტარიატი და რევოლუციური მასები, რომლებიც მის ხელმძღვანელობას აღიარებენ, რაგინდ გმირული სულით უნდა იყოს იგი გამსჭვალული—დღეს იგი ვერ შესძლებს მოხსნას საერთაშორისო ასპარეზზე მსოფლიო იმპერიალიზმი, სოციალიზმის ეს მთავარი და დაუძინებელი მტერი. იგი შესძლებს დაამხოს საკუთარი ბურჟუაზია, მოხსნას საკუთარი იმპერიალიზმი, მაგრამ მარტო თავისი საკუთარი ძალებით იგი ვერ შესძლებს დაამხოს მსოფლიო ბურჟუაზია, ვერ შესძლებს დიდი ხნით გაუძლოს მსოფლიო იმპერიალიზმის გარემოცვას და დამარცხდება თუ მას მხარს არ დაუჭერს სხვა ქვეყნების რევოლუციური კლასი, თუ მის დასახმარებლად დროზე არ იფეთქებს პროლეტარული რევოლუცია ზოგიერთ მოწინავე და ძლიერ სახელმწიფოში.

მაშასადამე, რუსეთის პროლეტარული რევოლუცია მხოლოდ იმ შემთხვევაში გაიმარჯვებს საბოლოოდ, თუ იგი გაარღვევს ნაციონალურ ჩარჩოებს, რევოლუციური გზით გადაიბიჯებს საზღვრებს და გახდება საერთაშორისო რევოლუციის ერთერთი მთავარი ფრონტი, და პარტიის ტაქტიკა, რომელიც პროლეტარულ რევოლუციას ხელმძღვანელობს, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება სწორი, თუ იგი მხედველობაში იღებს სამ საკითხს: მზად არიან თუ არა ევროპის მოწინავე ქვეყნები სოციალისტური რევოლუციისათვის? შექმნილია თუ არა იქ რევოლუციური ვითარება (სიტუაცია) და შეუძლია თუ არა რუსეთის რევოლუციას გაუძლოს კონტრრევოლუციის შემოტევას და მოიგერიოს იგი და არ ჩააქროს რევოლუციის ჩირაღდანი მანამ, ვიდრე სხვა ქვეყნებში არ აზვირთდება პროლეტარული რევოლუციის ტალღა". (მამია ორახელაშვილი. „პროლეტარული რევოლუციის საკითხები", 1925 წ. გამ. გვ. 28).

ამხ. მ. ორახელაშვილის აღნიშნული ნაშრომი წარმოადგენს 1920 წელს დაწერილ სტატიათა კრებულს, რომელიც ცალკე წიგნად გამოცემულია 1925 წელს, როცა პარტია სტალინის ხელმძღვანელობით გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდა ტროცკიზმის წინააღმდეგ სწორედ ამ საკითხებში. ამხ. მ. ორახელაშვილს არ შეეძლო არ სცოდნოდა, რომ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის საკითხი წარმოადგენს იმ საკითხს, რომელსაც ნამდვილი წყალგამყოფი ხაზი გაჰყავს მარქსიზმ-ლენინიზმსა და კონტრრევოლუციურ ტროცკიზმს შორის. იგი არ ცდილა გამოერკვია ის კავშირი და განსხვავება, რომლებიც არსებობენ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობასა და სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებას შორის. საკმარისი კი იყო მას მიემართა ამხანაგ ი. სტალინის ნაშრომებისათვის, რომლებშიაც იგი იპოვიდა ამ საკითხის უაღრესად ნათელ და მკაფიო მარქსისტულ-ლენინურ გადაჭრას.

„...რა არის სოციალიზმის გამარჯვება ჩვენს ქვეყანაში?—ამბობს ამხანაგი სტალინი.—ეს ნიშნავს მოვიპოვოთ პროლეტარიატის დიქტატურა და ავაშენოთ სოციალიზმი და, ამგვარად, ვძლიოთ ჩვენი მეურნეობის კაპიტალისტური ელემენტები ჩვენი რევოლუციის შინაგანი ძალების საფუძველზე.

რა არის ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვება? ეს იმას ნიშნავს, რომ შევქმნათ სრული გარანტია ინტერვენციისაგან და რესტავრაციის ცდებისაგან სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების საფუძველზე რამდენიმე ქვეყანაში.

თუ ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების შესაძლებლობა ნიშნავს იმ შინაგან წინააღმდეგობათა გადაჭრის შესაძლებლობას, რომლებიც სავსებით დასაძლევია ერთი ქვეყნისათვის (ჩვენ, რასაკვირველია, მხედველობაში გვყავს ჩვენი ქვეყანა), სამაგიეროდ სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების შესაძლებლობა ნიშნავს სოციალიზმის ქვეყანასა და კაპიტალიზმის ქვეყნებს შორის იმ საგარეო წინააღმდეგობათა გადაჭრის შესაძლებლობას, რომლებიც დაძლეულ უნდა იქნენ მხოლოდ პროლეტარული რევოლუციის ძალებით რამდენიმე ქვეყანაში.

ვინც წინააღმდეგობათა ამ ორ რიგს ერთმანეთში ურევს, იგი ან უიმედო თავგზააბნეულია, ანდა გაუსწორებელი ოპორტუნისტია.

ასეთია ჩვენი პარტიის ძირითადი ხაზი (ი. სტალინი „ოპოზიციის შესახებ" გვ. 850—1).

ზემოთმოყვანილ ადგილს ამხ. მ. ორახელაშვილის ნაშრომიდან საერთო არაფერი აქვს სტალინურ განსაზღვრასთან და იგი როგორც ორი წვეთი წყალი ჰგავს კონტრრევოლუციონერ ტროცკის მენშევიკურ მტკიცებებს ამ საკითხებზე. ამხ. მ. ორახელაშვილი ლაპარაკობს სოციალიზმის საბოლოო გამარჯვებაზე და არაფერს ამბობს იმაზე, რომ ერთ ქვეყანაში შესაძლებელია სრული უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენება ამ ქვეყნის პროლეტარიატის საკუთარი ძალებით. ამაზე არაფერს ამბობს იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს მას შეუძლებლად მიაჩნია, რამდენადაც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, პროლეტარიატი, რომელმაც თავდაპირველად ერთ ქვეყანაში გაიმარჯვა, „ვერ შესძლებს დიდი ხნით გაუძლოს მსოფლიო პროლეტარიატის გარემოცვას და დამარცხდება, თუ მას დახმარებას არ გაუწევს სხვა ქვეყნების რევოლუციური კლასი, თუ მის დასახმარებლად დროზე არ იფეთქებს პროლეტარული რევოლუცია ზოგიერთ მოწინავე და ძლიერ სახელმწიფოში".

მაშასადამე, ამხ. მ. ორახელაშვილის თვალსაზრისით ამოცანა მდგომარეობს არა იმაში, რომ ვიბრძოლოთ სოციალიზმის გამარჯვების აშენებისათვის გამარჯვებული პროლეტარიატის ქვეყანაში, არამედ იმაში, რომ ვეცადოთ თავი გავიტანოთ კაპიტალისტური გარემოცვის პირობებში მანამდე, ვიდრე არ მოგვეშველება მსოფლიო რევოლუცია. რუსეთის პროლეტარიატს იგი აკუთვნებს არა უკლასო სოციალისტური საზოგადოების მშენებლის როლს, არამედ ისეთი კლასის როლს, რომელმაც მხოლოდ დაიწყო პროლეტარული რევოლუცია და თავი გაიტანა მანამდე, ვიდრე დასახმარებლად სხვები არ მოვიდნენ. მაგალითად, იგი სწერს: „შექმნილი ისტორიული პირობების ზეგავლენით საერთაშორისო რევოლუციური მოძრაობის ჰეგემონია გადავიდა რუსეთის პროლეტარიატის ხელში. გადავიდა, რასაკვირველია დროებით, ვინაიდან ამისთვის ხელსაყრელი პირობები შეიქმნა. და როგორც კი დასავლეთი ევროპა, მოწინავე ქვეყნები თავს დააღწევენ სულის შემხუთავ იმპერიალისტურ რეაქციას და აქტიურად ჩაებმებიან მსოფლიო რევოლუციურ მოძრაობაში, აღდგენილი იქნება წონასწორობა პროლეტარულ ინტერნაციონალში. მანამდის კი პროლეტარული რუსეთის ჰეგემონია კომუნისტურ ინტერნაციონალში, რევოლუციურ მოძრაობაში ნათელი და უდავოა. მას წილად ხვდა დაიწყოს მსოფლიო სოციალისტური რევოლუცია, მან პირველმა განახორციელა პროლეტარიატის დიქტატურა, რომელმაც უნდა გაარღვიოს ნაციონალური ჩარჩოები, გადაიქცეს ევროპის პროლეტარულ რევოლუციად. მაშინ და მხოლოდ მაშინ დამთავრდება ბრძოლა საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციისათვის. მაშინ რუსეთის რევოლუციის ბელადებს დამსახურებული სიამაყით შეეძლებათ განაცხადონ: ჩვენ გავაკეთეთ რისი გაკეთებაც შევვძელით და როგორც შევვძელით; ჩვენ გავაღვივეთ პროლეტარული რევოლუციის ალი და დავიცავით იგი ჩაქრობისაგან იმ მომენტამდე, ხანამ დასახმარებლად მოგვეშველებოდნენ ევროპის პროლეტარიატის მოწინავე რაზმები და დაეუფლებოდნენ რევოლუციის [illegible]; დაე საუკეთესოებმა გამოიყენონ ჩვენი გამოცდილება, ჩვენი შეცდომები და ხელმძღვანელობა გაგვიწიონ ახლა, რათა უკეთ დავამთავროთ ბრძოლა და უკეთ მოვაწყოთ საზოგადოება ახალ საფუძველზე, ვიდრე ამის გაკეთება ჩვენ შევვძელით ჩამორჩენილ, გაღატაკებულ და ალყაშემორტყმულ რუსეთში" (იხ. ლენინის მოხსენებული სტატია: აგრეთვე მისი „მემარცხენეობის ბავშვური სენი კომუნიზმში"). („პროლეტარული რევოლუციის საკითხები", გვ. 14).

ამხ. მ. ორახელაშვილი მართალია, როცა ამტკიცებს, რომ ბრძოლა საზოგადოების სოციალისტური ორგანიზაციისათვის დამთავრდება რუსეთის პროლეტარიატის მიერ დაწყებული საერთაშორისო პროლეტარული რევოლუციის ასპარეზზე. მაგრამ იგი არ არის მართალი, როცა არაფერს ამბობს იმაზე, რომ პროლეტარიატის დიქტატურას, რომელიც რუსეთის პროლეტარიატმა განახორციელა, შეუძლია გაარღვიოს და „უნდა გაარღვიოს ნაციონალური ჩარჩოები, გადაიქცეს ევროპის პროლეტარულ რევოლუციად" **უკლასო სოციალისტური საზოგადოების აშენების საფუძველზე**. ამხ. მ. ორახელაშვილი, სწორად მიუთითებს რა სოციალიზმის **საბოლოო** გამარჯვების პირობებზე, ამასთან დაკავშირებით არაფერს ლაპარაკობს ჩვენში სოციალიზმის აშენების **შესაძლებლობაზე**. ხოლო ამავე დროს პროლეტარიატის დიქტატურის უახლოეს ისტორიულ ამოცანას, დიქტატურის, რომელმაც პირველად ერთ ქვეყანაში გაიმარჯვა, წარმოადგენს სოციალიზმის აშენება, როგორც ამას ვხედავთ ჩვენში სოციალიზმის აშენების ბრწყინვალე მაგალითზე, რის წყალობითაც საბჭოების ქვეყნის გმირული პროლეტარიატი გახდა „ყველა ქვეყნის პროლეტარიატის დამკვრელი ბრიგადა" (ი. სტალინი „ლენინიზმის საკითხები", მე-10 გამ. 1934 წ. გვ. 446). ამგვარად ამხ. მ. ორახელაშვილი ერთ ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების საკითხს არსებითად ტროცკისტულად განმარტავს.

ამგვარად, აიღო რა ლენინისაგან ის ადგილები, სადაც ლაპარაკია სოციალიზმის გამარჯვებაზე საერთაშორისო მასშტაბით, ამხ. მ. ორახელაშვილმა აღნიშნულ ნაშრომში გვერდი აუარა ლენინის მიერ აღმოჩენილ და ამხანაგ სტალინის მიერ ბრწყინვალედ განვითარებულ კანონს კაპიტალიზმის უთანაბრო განვითარებისა და ერთ ქვეყანაში სოციალიზმის აშენების შესაძლებლობის შესახებ.

III. ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ფალსიფიკაციის წინააღმდეგ

ამხ. მ. ორახელაშვილს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციათა ისტორიის საკითხების მხრივაც ვერა აქვს კარგად საქმე. მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი საკითხები მას სწორად არა აქვს გაშუქებული. ამ საკითხთა გარჩევის დროს ორი კაუცკის, ამ შემთხვევაში ორი ჟორდანიას თეორიის თვალსაზრისით ამხანაგი მ. ორახელაშვილი არსებითად იძლევა ამ საკითხების ფალსიფიკაციას.

მივმართოთ ფაქტებს. მაგალითად, უაღრესად საინტერესოა, თუ როგორ აფასებს ამხ. მ. ორახელაშვილი ნ. ჟორდანიას და მის თანამოაზრეებს, „მესამე დასის" პირველი თაობის წარმომადგენლებს. „იყო დრო,—სწერს იგი,—როცა ნ. ჟორდანიას ესმოდა, რომ შეუძლებელია ერთსა და იმავე დროს ხელში გეჭიროს კლასობრივი დროშაც და ნაციონალური დროშაც, ეს გაგება არ იყო წმინდა მარქსისტული, მაგრამ მას მაინც ჰქონდა მარქსიზმის რაღაც ნიშანწყალი („ბოლშევიკ ზაკავკაზია", № 2, 1928 წ. გვ. 10).

ეს რომ მართლაც ასე ყოფილიყო, ნ. ჟორდანიას რომ მოესურვებინა გაეგო, რომ „არ შეიძლება ერთსადაიმავე დროს ხელში გეჭიროს კლასობრივი დროშაც და ნაციონალური დროშაც", ეს მაინც რაღაცას ეგვანებოდა. მაგრამ ამხ. მ. ორახელაშვილის საყურადღებოდ უნდა ვსთქვათ, რომ ნ. ჟორდანია არასოდეს არ ცდილა გაეგო ეს ელემენტარული მარქსისტული ჭეშმარიტება. სხვანაირად რატომ მოხდებოდა, რომ მესამე დასელთა ჯგუფს ახალგაზრდებმა ამხ. სტალინის, კეცხოველის და ს. წულუკიძის სახით, რომლებიც ნამდვილი რევოლუციური მარქსისტები იყვნენ, ბრძოლა გააჩაღეს მესამე დასის ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ. ამხ. მ. ორახელაშვილის ისტორიაში შემთხვევით როდი გამორჩენია პირველთა ბრძოლა ნ. ჟორდანიას და მისი თანამოაზრეების წინააღმდეგ, არამედ ეს სავსებით კანონზომიერად მოხდა, რამდენადაც მან ნოე ჟორდანია ასე თუ ისე მარქსისტად გამოაცხადა.

მაგრამ იქნებ მართალი იყოს ამხ. მ. ორახელაშვილი, როცა ამტკიცებს „იყო დრო, როცა ნ. ჟორდანიას ესმოდა, რომ არ შეიძლება ერთსა და იმავე დროს ხელში გეჭიროს კლასობრივი დროშაც და ნაციონალური დროშაც"?

მივმართოთ ფაქტებს.

მესამე დასის პერიოდშიაც კი ნ. ჟორდანია, ლენინის სიტყვებით, რომ ვილაპარაკოთ, წარმოადგენდა **სიტყვით მარქსისტს**, პირველ რიგში სწორედ იმიტომ, რომ მას სურდა პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესები შეერიგებინა ბურჟუაზიის კლასობრივ ინტერესებთან, მუშათა მოძრაობა დაემორჩილებინა ქართველი ერის ბურჟუაზიული განვითარების ინტერესებისათვის, ხოლო მარქსიზმი შეეგუებინა ბურჟუაზიული ნაციონალიზმისათვის. **ამხ. მ. ორახელაშვილის მტკიცებათა წინააღმდეგ ნ. ჟორდანია გამოდიოდა სწორედ იქიდან, რომ საჭიროა „ერთსა და იმავე დროს ხელში გეჭიროს კლასობრივი დროშაც და ნაციონალური დროშაც"** მხედველობაში ჰქონდა რა ახალი საზოგადოებრივი მიმდინარეობა, იგი სწერდა: „ამ მიმდინარეობას ეძლევა ორი ფორმა: შინაგანი, კლასიური და გარეგანი, ეროვნული ბრძოლა კლასთა და ერთა შორის. პირველი რაც უნდა ძლიერი იყოს, აქვს ისეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთად დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ უღელში ებმიან. ეს ქმნის იმას, რასაც ეწოდება ერი, ეროვნული ძალა. აქ არის საერთო ფარგალი, ამას გარეთ—სხვა ერია, ამას შიგნით — კლასებია, ირგვლივ კი—ეროვნული ძალა, ეროვნული კულტურა, ეროვნული [illegible]" (ნოე ჟორდანია, რჩეული თხზულებანი, 1911 წ. გამ. გვ. 166).

ამრიგად მენშევიკი ნ. ჟორდანია მუდამ ამტკიცებდა, რომ კლასების ბრძოლას „აქვს ისეთი საზღვარი, სადაც მებრძოლნი ერთად დგებიან, ერთ კულტურულ და ისტორიულ უღელში ებმიან". ამხ. მ. ორახელაშვილი კი სრულიად საწინააღმდეგოს ამტკიცებს ვის დავუჯეროთ? ამ შემთხვევაში არ შეიძლება არ დავუჯეროთ ნ. ჟორდანიას, ვინაიდან იგი საკმაო გულახდილობით განმარტავს თავის ბურჟუაზიულ-პოლიტიკურ კონცეპციას და ერთხელ კიდევ გვიჩვენებს, რომ იგი არასოდეს არ ეკუთვნოდა ნამდვილ მარქსისტთა ჯგუფს, არამედ მუდამ იყო მხოლოდ სიტყვით მარქსისტი. რისთვის დასჭირდა ამხ. მ. ორახელაშვილს ამ აშკარა ოპორტუნისტის ოპორტუნისტულ შეხედულებათა გაკეთილშობილება? ვისთვის არის ეს საჭირო?

დიახ, ნ. ჟორდანია ზოგჯერ აშკარად გამოსთქვამდა თავის ოპორტუნისტულ აზრებს, ალბად იმიტომ, რომ სხვებს არ დაემახინჯებინათ იგი ისე, როგორც ამას სჩადის, მაგალითად, ამხ. მ. ორახელაშვილი. რადა ღირს ნ. ჟორდანიას თუნდაც ასეთი გამოთქმა კლასების ურთიერთობის შესახებ: „ერის სიღრმეში დაინტერესებულია როგორც ბურჟუა—ვაჭარი, ისე გლეხი—მუშა". ან მისი პასუხი ა. ჯორჯაძეს, რომელიც, ისე როგორც ამხ. მ. ორახელაშვილი, ბრალს სდებდა მას კლასობრივი ბრძოლის ქადაგებასა და კლასობრივი სიძულვილის გაღვივებაში. აი რას სწერდა იგი: „ვეკითხავთ მხოლოდ: მართლა ვთქვით თუ არა ჩვენ ოდესმე, რომ ქართველებს არა აქვთ არავითარი საერთო ინტერესები". არა, ეს არ გვითქვამს, და, მაშასადამე, იგი ჯორჯაძის ფანტაზიის ნაყოფად უნდა ჩაითვალოს. „პირიქით, ჩვენ არა ერთხელ ვარკვევდით, თუ სად არის „საერთო ინტერესები და სად არა". მეორე ადგილას კი იგი სწერდა: „ცხადია, ჩვენ არ შეგვიძლია ვიყოთ რომელიმე წინანდელი წოდების არც მომხრე, არც მოწინააღმდეგეები... ბევრისაგან გამიგონია, თითქოს მე თავად-აზნაურობის მოწინააღმდეგე ვიყო. ეს მტკნარი სიცრუეა, ეს სრულიადაც არ ეგუება ჩემს შეხედულებას ცხოვრებაზე". (რჩეული თხზულებანი, გვ. 114, 5, 430).

ასეთია ისტორია უფალსიფიკაციოდ. და თურმე ამხ. მ. ორახელაშვილი ასეთი „მარქსისტისაგან" მოელოდა ფეოდალიზმის ნაშთების სრულ ლიკვიდაციას აგრარული რევოლუციის გატარებით!

ამხ. მ. ორახელაშვილის საწინააღმდეგოდ, ამხ. ლ. პ. ბერია თავის მოხსენებაში იძლევა ნ. ჟორდანიას სავსებით სწორ შეფასებას. იგი ამბობს: „ნ. ჟორდანია არასოდეს არ მისულა პროლეტარიატის კლასობრივი ბრძოლის მარქსისტულ გაგებამდე. ნ. ჟორდანია თავიდანვე იცავდა და ქადაგებდა ბურჟუაზიულ-ნაციონალისტურ თეზისს: კაპიტალიზმის ეკონომიური ცხოვრება, ეროვნული კულტურა და ეროვნული ხასიათი საზოგადოების ყველა კლასს მთლიან ეროვნულ ორგანიზმად აერთებს და ერის აღორძინების საქმეში ერთნაირად დაინტერესებულია ერის ყველა კლასი". (ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის", გვ. 25).

შეიძლება აღმოჩნდნენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ იკითხონ: თუმცა ამხ. მ. ორახელაშვილის სტატია-

---

*) დასაწყისი იხ. „კომუნისტი" № 261

ტ. ლომიძე

ტფ საბჭოს საორგანიზაციო განყოფილების გამგე

140.276 ამომრჩევლის 4·792 წინადადება

ტფილისის საბჭოს დეპუტატების საანგარიშო კამპანია იშვიათი გაცხოველებით და ამომრჩეველთა მაღალი აქტივობით ჩაიარა. 1-დან 31 ოქტომბრამდე ტფილისში ჩატარდა ამომრჩეველთა 414 საანგარიშო კრება, რომელთაც 151.059-დან 14.276 ამომრჩეველი (საშუალოდ 92,9 პროც.) დაესწრო. წარმოება-დაწესებულებებში მოწვეულ საანგარიშო კრებებზე ამომრჩეველთა დასწრება საშუალოდ 95,6 პროცენტს უდრიდა, ხოლო მარტო საწარმოებს თუ ავიღებთ, აქ დასწრება უფრო უკეთესი იყო და უდრიდა საშუალოდ 96,2 პროცენტს.

ზოგ საწარმოში (საგამომცემლო ფაბრიკა, პურის პირველი ქარხანა, ზეთსახდელი ქარხანა, მაკარონის ფაბრიკა, მაუდ - კამვოლის ფაბრიკა, ამხ. კახიანის სახელობის კოლმეურნეობა, ორჯონიკიძის ქარხანა, აგურის ქარხნები, პირველი საკონდიტრო ფაბრიკა, ავეჯეულობის ფაბრიკა და სხვ.) დასწრება უდრიდა ას პროცენტს.

საანგარიშო კრებებზე მომხსენებლებად გამოვიდა 298 დეპუტატი. პირადად თავისი მუშაობის შესახებ მოხსენება გააკეთა 338 დეპუტატმა. ამგვარად, ტფილისის საბჭოს 966 დეპუტატიდან ამომრჩევლებს ანგარიში ჩააბარა 636 დეპუტატმა. ამომრჩევლებმა გულმოდგინედ შეამოწმეს მათი დეპუტატების მუშაობა და უკან გამოიწვიეს ის დეპუტატები, რომლებმაც ვერ გაამართლეს ამომრჩეველთა იმედები, სუსტად მუშაობდნენ, არ იჩენდნენ აქტივობას. საანგარიშო კამპანიის პერიოდში (ოქტომბერი) საბჭოდან უკან გამოიწვიეს სულ 46 დეპუტატი. მათ შორის 27 დეპუტატი გამოწვეულია უკან იმისათვის, რომ არ მუშაობდნენ. ამ 27 ყოფილ დეპუტატთა შორის არიან — თამარა მიხაილოვსკაია (მკერავი № 1), ანა შვარცი, (თამბაქოს ფაბრიკა), ნინა ხიმონიშვილი და ელენე კაჩიევი (დიასახლისები). ზემო უტარაევი, ნინა ხააკოვა ნუნუ ტატანოვა (აბრეშ. საქსოვი ფაბრიკა), სანდრო ახმეტელი, ისმათ იბრაგიმოვა, ანა ეგანოვა, ნიკოლოზ დურიევი და სხვები. ბევრ დეპუტატს ამომრჩევლებმა მისცეს გაფრთხილება, რომ თუ უკეთ არ იმუშავებენ, თუ უფრო აქტიურ მონაწილეობას არ მიიღებენ საბჭოს მასობრივ მუშაობაში, მათაც ჩამოართმევენ დეპუტატობის მანდატებს.

დეპუტატების საანგარიშო მოხსენებების გარშემო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღო 3.034 ამომრჩეველმა. ამომრჩევლები აღნიშნავდნენ ტფილისის საბჭოს ნაყოფიერ მუშაობას (ჩელუსკინელების ხიდის აგება, სანაპირო ქუჩის დამთავრება, კალიაევის აღმართის გაფართოება, ავლაბრის თეატრის დამთავრება, ტრამვაის ქსელის რეკონსტრუქცია, ახალი პარკების გაშენება და სხ.) და ამავე დროს ჩერდებოდნენ მთელ რიგ დეფექტებზე საბჭოს მუშაობაში: ქალაქის უზრუნველყოფა წყლით და ელექტროენერგიით, სახლების რემონტის დაბალი ხარისხი, ჩამორჩენილობა საბინაო მშენებლობაში, სავაჭრო ქსელის უკეთ განლაგების საჭიროება და სხვა.

აღსანიშნავია, რომ საანგარიშო კრებებზე განსაკუთრებულ აქტივობას დიასახლისი ქალები იჩენდნენ. ისინი თავიანთ სიტყვებში უპირატესად კულტურულ - საყოფაცხოვრებო საკითხებს ეხებოდნენ. ნამდვილი თვითკრიტიკა უწინ არასოდეს არ ყოფილა ისე ფართოდ გაშლილი, როგორც ამ საანგარიშო კამპანიის დროს იყო და ამით აიხსნება ის გარემოება, რომ საანგარიშო კამპანიის განმავლობაში ამომრჩევლებმა საბჭოს მომავალი მუშაობის გასაუმჯობესებლად 4792 პრაქტიკული ხასიათის წინადადება შემოიტანეს.

ამომრჩეველთა მაღალი აქტივობა და შემოტანილ ახალ წინადადებათა სიმრავლე მოწმობს ტფილისის მშრომელთა მასების მატერიალურ - ყოფაცხოვრებითი მოთხოვნილებების დიდ ზრდას. ეს წინადადებები საფუძვლად უნდა დაედოს ტფილისის საბჭოს და მისი დეპუტატების მომავალ პრაქტიკულ საქმიანობას.

ამომრჩეველთაგან შემოტანილი წინადადებების კონკრეტული შემსრულებლები არიან ტფილისის საბჭო, რაიონული საბჭოები, ტფილისის საბჭოს ტრესტები, მათი განყოფილებები, სამმართველოები, ფაბრიკები, ქარხნები, კულტურულ-საგანმანათლებლო და ადმინისტრაციული დაწესებულებები, საბჭოს სექციები, სადეპუტატო ჯგუფები, დეპუტატები და სხვა. მათი ამოცანაა დაუყოვნებლივ შეუდგნენ ამომრჩეველთა წინადადებების შესრულებას, დასახონ ვადები ამ წინადადებათა შესასრულებლად.

თვითეულმა სექციამ და სადეპუტატო ჯგუფმა ყოველთვის უნდა ადევნოს თვალყური ამომრჩევლების წინადადებათა შესრულების მიმდინარეობას და სისტემატიურად ჩააბაროს ანგარიში ამომრჩევლებს მათ წინადადებათა შესრულების შესახებ.

„მაინც ვერ გავიმარჯვებთ“

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

კასპის ცემენტის ქარხნის მუშაობაზე დიდად არის დამოკიდებული ამიერ-კავკასიის ქალაქებსა და სოფლებში დაწყებულ მშენებლობების ვადაზე დამთავრება. მაგრამ ქარხანა გეგმას ვერ ასრულებს და საიდან მიაწვდის მშენებლობებს ცემენტს!

ათი თვის გეგმა 82624 ტონა ცემენტის გამოწვა — 92,2 პროცენტით აქვს შესრულებული. გამომწვარი ქვის დაფქვის გეგმა შესრულებულია 91,2 პროც., ხოლო ცემენტის გაგზავნის გეგმა—94,7 პრ. დაცემულია შრომის ნაყოფიერება. ხშირია მუშახელის ცვალებადობა და ავარიები, რაც გავლენას ახდენს გეგმის შესრულებაზე.

ამ ჩამორჩენას თავი უნდა დააღწიოს კასპის ცემენტის ქარხანამ. მაგრამ როგორ? 3 ნოემბერს გამოცხადდა ადგილობრივ მრეწველ. სახალხო კომისარიატის და „კომუნისტის“ კონკურსი მრეწველობის გეგმების სანიმუშოდ შესრულებაზე, რომელსაც შეუძლია გამარჯვება მოუტანოს ქარხანას, თუ კი პარტიული, სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციები აქტიურად ჩაებმებიან ამაში და ფართოდ გაშლიან სოცშეჯიბრებას. მაგრამ ქარხნის ხელმძღვანელ მუშაკებს დღემდე არაფერი არ გაუგიათ კონკურსის შესახებ.

— არ წამიკითხავს და როგორ უნდა გავეშალა მუშაობა? — განაცხადა პარტიულ კომიტეტის მდივანმა შ ბოხუამ.

— კონკურსში რომ ჩავებათ, წინასწარ ვიცით, მაინც ვერ გავიმარჯვებთ — დაუმატა მთავარმა ინჟინერმა პაპო-მა.

ადგილკომის თავმჯდომარე მ. ბურდულაძე თავს იმით იმართლებს, რომ კონკურსის გამოცხადების დროს კასპში არ ვიყავიო.

ამრიგად კასპის ცემენტის ქარხნის ხელმძღვანელი მუშაკები კონკურსის აშკარა შეუფასებლობას იჩენენ.

ალექსი, ვასილ, ტრიფონი

ვასილ სამხარაძე.

ტრიფონ ფოფხაძე.

○

1—●

ალექსი სტახანოვი ძალიან ემდუროდა ლავის შრომის ორგანიზაციას, რადგანაც მას ეს არ აკმაყოფილებდა. ალექსის შეგნებული ჰქონდა ტექნიკას დაუფლებული ადამიანების საშუალებით სასწაულების მოხდენის შესაძლებლობა, შრომის მაღალი ნაყოფიერების დამყარება. იგი ფიქრობდა შრომის უკეთ მოწყობისთვის, ფიქრობდა სანგრევი უროების—მაღალი ნაყოფიერების ამ საუკეთესო ინსტრუმენტების რაციონალურად გამოყენებაზე.

ალექსიმ ცვლაში მუშაობა რომ დაამთავრა, სამუშაო კოსტუმი გამოიცვალა, თბილი წყლის შხაპი მიიღო და დაღლილმა ცოტა წაიძინა. მას ძილშიც აწუხებდა ეს საქმე—შრომის უკეთესად მოწყობის საჭიროება. ეს ერთი აზრი აეკვიატა, ლოგინში ვერ მოისვენა, სწრაფად ჩაიცვა ტანს, გაეშურა მაღაროს პარტორგ პეტროვთან და უბნის უფროს მაშუროვთან.

— ამხანაგო პეტროვ!—დაიწყო ალექსიმ. ჩვენ ხომ არა ერთხელ გვიფიქრია შრომის უკეთეს ორგანიზაციაზე, მაგრამ ჯერ ჯეროვანი შედეგი არა გვაქვს. 85 მეტრის სიგრძის მქონე ლავაში, სადაც ნახშირის ფენა 1,4 მეტრს უდრის, ცვლაში სანგრევი უროებით 8—9 კაცი მუშაობს, თვითეული მნგრეველი ებრძვის თავის საფეხურს, სჭრის ქვანახშირს და კიდევაც ამაგრებს ფენას. ამ სამუშაოს დიდი-დიდი 3 საათს მოუნდეს, დანარჩენი დრო ბიგების სამუშაოებზე მიდის, სანგრევი უროები დღეღამეში 6 საათს თუ მუშაობს, დანარჩენ დროს უქმადაა. როგორ მოვიქცეთ, რა ვქნათ?

— საჭიროა, სანგრევი უროები მთელ დღეღამეს მუშაობდნენ—სთქვა პეტროვმა.

— მართალია! დაუმატა უბნის უფროსმა მაშუროვმა—მაგრამ როგორ ვამუშაოთ მთელი დატვირთვით?

აქ, ამ გამჭრიახ და საქმიანი სამეულის თათბირზე გადაწყდა ერთ ლავაში 8—9 მნგრეველის ნაცვლად გაეშვათ 1 მნგრეველი. კომპრესორი წესრიგში მოიყვანეს, რომ ჰაერის ნორმალური მოძრაობა არ შეფერხებულიყო, გამოჰყვეს ორი მებიგე, განათება კარგად მოაწყეს.

— ალექსი! მიმართა სტახანოვს პარტორგმა—ამხ. პეტროვმა— შენ უნდა ჩახვიდე მაღაროში პირველად, უნდა სცადო მუშაობა. მე და მაშუროვიც ჩამოგყვებით.

ალექსის გული სიხარულით აენთო, იგი გრძნობდა უდიდეს პასუხისმგებლობას თავისი მშობლიური ქვეყნის წინაშე, ფიქრობდა ამოცანის ღირსეულად გადაჭრას, მაღაროდან შეურცხვენლად გამოსვლას. იგი დათანხმდა პირველი ჩასულიყო გვირაბში.

ეს იყო 31 აგვისტოს ღამით. ალექსი ნახშირში ცურავდა. იგი მედგრად ებრძოდა საუკუნეების მოწმე ნახშირის ფენილებს, ვერც კი გაიგო, როგორ გავიდა 5 საათი და 45 წუთი. ამ ხნის განმავლობაში მან მაღაროში ნახშირის ზღვა დააყენა, 6 საათში მოანგრია 102 ტონა ნახშირი. 31 აგვისტოს ღამეს მაღაროს ბევრ მუშას არ ეძინა. ყველას აინტერესებდა ალექსის მეთოდი და შედეგი ალექსი მაღაროდან რომ ამოვიდა, ამხანაგები სიხარულით შეხვდნენ. მხიარულება და პატივისცემა სუფევდა მის ირგვლივ.

ეს იყო სოციალიზმის ქვეყანაში შრომის მაღალი ნაყოფიერებისათვის მებრძოლი ალექსი სტახანოვი. ახლებურად მუშაობის პიონერი ქვანახშირის მრეწველობაში. ახლა მისი სახელი მილიონებმა იციან...

2—●

—ვინაა ეს ალექსი სტახანოვი? ადამიანია თუ ზეადამიანი? ვერ წარმომიდგენია 102 ტონა ქვანახშირის ჩამონგრევა 6 საათში. ეს რაღაც გაუგებრობა უნდა იყოს მაგრამ განა შეიძლება ჩვენი ბოლშევიკური პრესა ტყუილ ცნობებს იძლეოდეს?—ასე ფიქრობდა ლენინური კომკავშირის ღვიძლი შვილი, წითელი არმიიდან ახლახან დაბრუნებული, ჭიათურის მარგანეცის სტალინის სახელობის მაღაროს მნგრეველი ვასილ სამხარაძე. იგი ოცნებობდა ალექსის მეთოდზე.

ვასილს 8 წელი უმუშავნია სტალინის სახ. მაღაროში. რამდენი უძილო ღამე გაუტარებია მას მაღალხარისხოვანი მარგანეცისათვის ბრძოლაში, რამდენი თავისი ტოლი დაუმარცხებია დამკვრელური მუშაობით, მაგრამ ალექსის მაჩვენებლებამდე მას არასოდეს არ მიუღწევია.

— ტექნიკაში რაღაც საიდუმლოება უნდა არსებობდეს! ფიქრობდა ის მაგრამ რა უნდა იყოს ეს, თუ არა ტექნიკის უკეთ გამოყენება, შრომის მოწესრიგება?

უბნის გამგემ ვ. ტყემალაძემაც გაიგო ვასილის ზრახვები. იგი მივიდა ვასილთან და უთხრა:—ჩვენს უბანშიაც უნდა მოვაწყოთ სტახანოვური მუშაობა. ამაზე უკეთეს ვასილს რას ეტყოდნენ იგი ამით იყო დაავადებული, ამაზე სწუხდა. 18 ოქტომბერს სტალინის სახელობის მაღაროს დირექტორმა ნესტორ ბუბუტეიშვილმა, უბნის გამგემ ვ. ტყემალაძემ და ვასილ სამხარაძემ დაათვალიერეს სამუშაო და გადაწყდა მაღაროს № 70 თავში ორლიანდაგიანი ხაზის გაყვანა.

წინათ ასე იყო: მაღაროს თავებამდე მოყვანილი იყო ერთი ლიანდაგი, როცა ვაგონს მნგრეველი გაავსებდა ვაგონი უნდა გამოეყვანათ ხაზიდან და მიეწოდებინათ ცარიელი ვაგონი, ამას დიდი დრო სჭირდებოდა, მნგრეველი სცდებოდა.

14 ოქტომბერს ვ. სამხარაძე პირველი გავიდა მაღაროში სტახანოვური მუშაობის სტილის დასაუფლებლად. მეტი მარგანეცის მოსანგრევად კარგად მუშაობის ყველა პირობა შექმნეს. აფეთქება და სინათლე კარგად მოაწყეს, კომპრესორიც კარგად მუშაობდა მებიგეები მომზადებულები შეხვდნენ სამუშაოს. იმ დღეს ვასილმა 420 წუთს იმუშავა ცვლაში. ერთ ვაგონს რომ გაავსებდა, რომელიც ერთ ლიანდაგზე იდგა, სასწრაფოდ გადადიოდა მეორე ვაგონზე, (მეორე ხაზზე). ამასობაში პირველად დატვირთულ ვაგონს გააგორებდნენ და ცარიელ ვაგონს მიაწოდებდნენ, ვასილი მეორე გავსებულ ვაგონს სტოვებდა და მესამეზე გადადიოდა, ასე რომ საათის მექანიზმივით მუშაობდა, გაცდენა არა ჰქონდა და პირველ დღეს, 14 ოქტომბერს 9 ტონის ნაცვლად მოგვცა 50 ტონა, დღიური ნორმა შეასრულა 555 პროცენტით. მეორე დღეს მიაღწია 55 ტონა მარგანეცის მონგრევას, ნორმა შეასრულა 561 პროცენტით. მუშაობის მესამე დღეს შრომის ნაყოფიერების მაჩვენებელი კიდევ უფრო აამაღლა და დღიური ნორმა შეასრულა 577 პროცენტით. ამიტომ მან სამართლიანად დაიმსახურა მუშათა გულთბილი შეხვედრა.

მას შემდეგ ვასილ სამხარაძე ყოველდღე 3—4—5 კაცის ნორმას ასრულებს. მაგრამ იგი მაინც „გულდაწყვეტილია“.

— ამბობენ,—აცხადებს ის—თითქოს მე მუშაობას, პირველ ხანებთან შედარებით, მოვუკელი, ეს არ არის მართალი. ტრანსპორტი ცუდად მუშაობს, როცა დატვირთულ ვაგონებს ვგზავნი. ცარიელს დროზე ვერ მაწვდიან. აფეთქების დროს დიდი კვამლი დგება, მაშინ ლავაში მუშაობა შეუძლებელია. კვამლი ჰაერის საშუალებით უნდა გამოიდენონ გარეთ. ამას კი დიდი დრო სჭირდება. (1—2 საათი). ზოგჯერ სინათლეც გვიქრება თუ მუშაობის ჯეროვან პირობებს შემიქმნიან, ყოველდღე 50 ტონას მოვანგრევ.

ახლა ვ. სამხარაძე სხვებს ასწავლის სტახანოვური მეთოდით მუშაობას. ამიტომაც არის რომ ამ მაღაროში სტახანოველები დღითიდღე მრავლდებიან, მაგრამ ვინ და როგორც უნდა მუშაობდეს, ერთი რამ აშკარაა: მარგანეცის მრეწველობაში პირველი სტახანოველია კომკავშირელი ვასილ სამხარაძე. იგი დღიურად ახლაც 50 ტონა მარგანეცს იძლევა, 9 ტონის ნაცვლად.

3—●

ყოველი მოქმედება თავისთავად აგიტაციაა. ეს ასეა ჭიათურაშიც.

7 წელია მარგანეცის სალკლდეებს ებრძვის ტრიფონ ფოფხაძე, მის ბრიგადას არა ერთი და ორი ბრიგადა მოუტოვებია უკან. მოკლედ, მას ვერავინ სჯობნიდა. იგი შვებულებაში იყო, სოფლად ისვენებდა, როცა მისმა ძმამ ვლადიმერმა მიუტანა ამბავი:

— ვასილ სამხარაძემ სთქვა, მოვანგრევ და დავტვირთავ მარგანეცით 40 ვაგონს, ოღონდ ადმინისტრაციამ შემიწყოს ხელიო. მართლაც როცა კი გასულა სამუშაოდ, 55 ტონა მოუნგრევია.

ტრიფონს გული ერჩოდა, სახლში ვერ გაჩერდა, სამი დღე უკლდა შვებულების დამთავრებას, დაჰკრა ფეხი და მაღაროსკენ წამოვიდა. იგი ნესტორ ბუბუტეიშვილის (სტალინის სახ. მაღაროს დირექტორი) სამუშაო ოთახში მომღიმარი შევიდა დირექტორს მიესალმა და ამბავი ჰკითხა.

— ვასილმა რეკორდი დაამყარა მარგანეცის მონგრევაში დაიწყო დირექტორმა —შენთვის ახლა ვამზადებთ მაღაროს № 68. ორლიანდაგიანი ხაზი გაგვყავს და შენც უნდა იმუშაო სტახანოვურად.

18 ოქტომბერს ორლიანდაგიანი ხაზი უკვე დაგებული იყო ტრიფონს მისცეს ვაგონის ორი გამგორებელი, კარგი განათება და ვენტილაცია, ხარისხიანი აფეთქება და თავის დროზე გამაგრება. ასეთ პირობებში მან სტახანოვურად მუშაობის პირველ დღეს დიდად გადააჭარბა ვასილის მაჩვენებლებს ნორმა შეასრულა 607,8 პროცენტით. მეორე დღეს, 19 ოქტომბერს —678 პროცენტით, მას შემდეგ ტრიფონს დღიური დავალების შესრულება 500 პროცენტზე დაბლა არ დაუწევია. იგი იძლევა 6—7 კაცის ნორმას.

— სტახანოვური მუშაობა აყირავებს „ტექნიკურად დასაბუთებულ ნორმებს“ მე ამ ნორმებს ყოველთვის გადავაყირავებ ოღონდ ადმინისტრაციამ შემიწყოს ხელი. ასეთია ტრიფონის გადაწყვეტილება. ეს გადაწყვეტილება მტკიცედ მოქმედებს და მომავალშიაც იმოქმედებს.

○

ვასილ სამხარაძის და ტრიფონ ფოფხაძის გზას ახლა ათეულები და ასეულები მისდევენ. დღეს ჭიათურის მაღაროებში 100-ზე მეტ სტახანოველს ითვლიან. მაღაროები პირობას იძლევიან, რომ მთლიანად გადავლენ სტახანოვურ მუშაობაზე და მიმდინარე წელს 10 დღით ადრე შეასრულებენ წლიურ გეგმას — 1.150.000 ტონა მარგანეცის ამოღებას.

ვალ. გაბუნია

დან მოყვანილი ადგილი წარმოადგენს უხეშ შეცდომას, რომელიც ახდენს საქართველოში მარქსიზმის ისტორიის ფალსიფიკაციას, მაგრამ შეიძლება სხვა შემთხვევებში იგი გამოდიოდეს იქიდან, რომ ნ. ჟორდანია არასოდეს არ ყოფილა ნამდვილი მარქსისტი, მათ შორის მესამე დასის პერიოდშიაც.

ამ მხრივ რომ ყოველი ეჭვი გავფანტოთ, მოვიყვანთ კიდევ ერთ ამონაწერს. —„მე-19 საუკუნის დამლევს,—სწერს ამხ. მ. ორახელაშვილი,—ვითარდება წვრილბურჟუაზიული მიმდინარეობა, რომელიც გაბატონებულ იდეოლოგიას უპირდაპირებს უმთავრესად გლეხობის და დაბალი ფენების იდეოლოგიას, ხოლო შემდეგ, როგორც დამატებითი დროშას, მუშათა კლასის იდეოლოგიასაც. ქართველი მენშევიკები აღმოჩნდნენ ამ ანტიფეოდალური, წვრილბურჟუაზიული, თავდაპირველად მარქსისტული და სოციალისტური მიმდინარეობის მემკვიდრეები“ („მოხსენება ქ. ტფილისის და ტფილისის მაზრის პარტ კონფერენციაზე“, 1923 წ. გამ. გვ. 5).

აქ უკვე ყველაფერი არეულია. ერთის მხრივ უარყოფილია ის, რასაც ამხ. მ. ორახელაშვილი ამტკიცებდა თავის ზემოთმოყვანილ თეზისში, ვინაიდან ამ შემთხვევაში იგი არ უარყოფს, რომ თავდაპირველად მესამე დასი არ იყო მარტო ერთი დროშის მატარებელი; მეორე მხრივ—მიუხედავად ამისა, გამოყვანილია ამხ. მ. ორახელაშვილისათვის აბსოლუტურად დამახასიათებელი დასკვნა იმის შესახებ, რომ ეს მიმდინარეობა თავდაპირველად მარქსისტული და სოციალისტური იყო. ერთი რამ გაუგებარია: თუ ამ შემთხვევაში თვით ამხ. მ. ორახელაშვილის აღიარებით მესამე დასი არ იყო მარტო მუშათა კლასის დროშის მატარებელი, მაშინ როგორ შეიძლებოდა იგი თავდაპირველად ყოფილიყო მარქსისტული და სოციალისტური? ჩვენ მიჩვეული ვართ ვიფიქროთ, რომ მარქსისტულად შეიძლება ჩაითვალოს ის პოლიტიკური მიმდინარეობა, რომელიც გამოხატავს მუშათა კლასის კლასობრივ ინტერესებს. ამგვარად ამხ. მ. ორახელაშვილის მიერ მოყვანილი დებულება წარმოადგენს იმდენად წინააღმდეგობრივს დებულებას, რომ მისი ერთი ნაწილი რადიკალურად შორდება მეორეს და გამორიცხავს მას.

ამას გარდა, იგი შეიცავს კიდევ ერთ უხეშ შეცდომას მე-19 საუკუნის 90-იან წლებში წარმოშობილი მესამე დასის შეფასებაში ამხ. მ. ორახელაშვილს არ გააჩნია დიფერენცირებული მიდგომა მესამე დასელთა ორგანიზაციისადმი. იგი ვერ ამჩნევს, რომ მესამე დასელთა უმცირესობამ ამხ. ლ. კეცხოველის, ა. წულუკიძის და ი. სტალინის სახით აღმართა შეურიგებელი ბრძოლის დროშა იმ ოპორტუნისტული უმრავლესობის წინააღმდეგ, რომელსაც ნ. ჟორდანია მეთაურობდა. ამ ბრძოლის ისტორია საუცხოოდ არის გაშუქებული ამხ. ლ. ბერიას მოხსენებაში „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“.

ამხ. მ. ორახელაშვილი, აღნიშნულ შეცდომას არსებითად არ შეიძლება ვუწოდოთ სხვა სახელი, თუ არა რევოლუციური მარქსიზმის ისტორიის ფალსიფიკაცია. იგი დუმილით უვლის გვერდს იმ უაღრესად მნიშვნელოვან ფაქტს, რომ ჯერ კიდევ პარტიის მე-2 ყრილობამდე დიდი ხნით ადრე რევოლუციურ მარქსისტთა ჯგუფი ი. სტალინის მეთაურობით აწარმოებდა ბრძოლას ნ. ჟორდანიას და სხვ. ტიპის ოპორტუნისტთა წინააღმდეგ. ამიტომ სრულიადაც არ არის შემთხვევითი რომ ამხ. მ. ორახელაშვილი თავის ნაშრომში: „ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს“, იძლევა რა სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებში არსებული მდგომარეობის ისტორიულ მიმოხილვას, ძალიან ცოტას ლაპარაკობს ამხანაგი სტალინის მუშაობის შესახებ, ხოლო რაც მთავარია, მისი აღნიშნული ნაშრომის ეს ნაწილი არ არის დაწერილი იმ თვალსაზრისით, რომ გააშუქოს ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელი როლი, მისი დაუღალავი ბრძოლა რევოლუციური მარქსიზმისათვის, ბოლშევიზმისათვის მიუხედავად იმისა, რომ ამხანაგი ი. სტალინი 1910 წლამდე უშუალო ხელმძღვანელობას უწევდა ამიერ - კავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს.

ამასთან დაკავშირებით, საჭიროა აღინიშნოს, რომ ამხ. მ. ორახელაშვილის ხსენებულ ნაშრომში ხუსტად არის მოცემული ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის ფრაქციული ბრძოლის ისტორია. იგი ბოლშევიკებსა და მენშევიკებს აერთიანებდა როგორც ერთი პარტიის ორ უძღებ შვილს იმ დროს, როცა ისინი ნამდვილად, იდგნენ რა დიამეტრალურად საწინააღმდეგო კლასობრივ-პოლიტიკურ პოზიციებზე, გააფთრებულ ბრძოლას ეწეოდნენ ერთმანეთის წინააღმდეგ. ეს შეცდომები არსებითად წარმოადგენენ პარტიის ისტორიის ფალსიფიკაციას, რაც უკვე გააკრიტიკა ამხ. ლ. ბერიამ თავის მოხსენებაში.

ამხ. მ. ორახელაშვილმა აღიარა ეს შეცდომები, მაგრამ გამოაცხადა ისინი ცალკეული ხასიათის შეცდომებად, თუ ისინი გამოწვეულია მისი ზოგადი თეორიით ორი კაუცკი—ჟორდანიას არსებობის შესახებ. თუ იმას ვფიქრობთ, რომ ომამდე მენშევიკები სცდებოდნენ, მაგრამ მაინც მარქსისტები იყვნენ, მაშინ, რასაკვირველია, არ იქნება მოცემული მენშევიკებთან ბოლშევიკთა ბრძოლის ნამდვილი ისტორია.

ამხ. მ. ორახელაშვილი ხშირად ხსენებული თეორიით რომ ხელმძღვანელობდა, ეს კიდევ იქიდან ჩანს, რომ ბოლშევიკური ორგანიზაციების დროებითი გაერთიანება მენშევიკურ ორგანიზაციებთან თებერვლის რევოლუციის შემდეგ იმის გამო, რომ ამიერ-კავკასიაში დროებით გაიმარჯვა მენშევიზმისადმი შემარიგებლურმა ტენდენციებმა, ამხ. მ. ორახელაშვილს ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნია, თითქოს აქ განსაკუთრებული არაფერი მომხდარიყოს. ამიტომ იგი არ განმარტავს, თუ რატომ მოხდა ეს, არამედ ამ გაერთიანებას სთვლის გარდამავალ გარემოებათა შედეგად, როგორიც, მაგალითად, არის დიდი მისწრაფება მთლიანობისაკენ სთვლის ცენტრთან კავშირის მოუგვარებლობის შედეგად და სხვ. „ბოლშევიკებისათვის,—სწერს იგი,—საჭირო იყო აერჩიათ და გაემტკიცებინათ თავისი ორგანიზაციების ნამსხვრევები, რომლებიც არალეგალური მდგომარეობიდან გამოვიდნენ, გადაეხსნათ და დაერაზმათ მთელი თავისი არსენალი. იმის გამო, რომ ცენტრთან ჯერ კიდევ არ იყო მოგვარებული კავშირი და ამიტომ იქიდან არ გვქონდა დირექტივები და სწორი ინფორმაცია. მენშევიკებთან საერთო ორგანიზაციაში შესვლის საკითხი ყველგან დადებითად სწყდებოდა: ძალიან ძლიერი იყო ინსტინქტური ლტოლვა მთლიანობისაკენ მეფის ახლადგადაყირავებული ტახტის წინაშე. მაგრამ გაერთიანებულ ორგანიზაციაში შესვლის დროს ბოლშევიკებმა დაიტოვეს უფლება ჰქონოდათ თავიანთი ბიურო (კომიტეტი), თავიანთი ბეჭდვითი ორგანოები, აგრეთვე იმის უფლება, რომ მოეწყოთ თავიანთი ფრაქციული კრებები. ფაქტიურად ეს გაერთიანება იყო მხოლოდ მოკლე გარდამავალი ეტაპი იმისაკენ, რომ მომხდარიყო ბოლშევიკების სრული, არა მარტო იდეურ-პოლიტიკური, არამედ ორგანიზაციული გამოყოფა განსაკუთრებულ პარტიად“. („ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციები 1917 წელს“, 1921 წ. გამ. გვ. 38).

ამგვარად ამხ. მ. ორახელაშვილი აქ ბევრს ლაპარაკობს ცენტრთან კავშირის მოუგვარებლობაზე, მთლიანობის ინსტინქტზე (?), მაგრამ რატომღაც კრინტსაც არ სძრავს, რომ ეს გაერთიანება მოხდა იმის გამო, რომ 1917 წელს ამიერ-კავკასიის ბოლშევიკთა ხელმძღვანელ ფენებში დროებით სჭარბობდნენ მენშევიზმისადმი შემარიგებლური ელემენტები. ასეთსავე შეცდომას სჩადის კიდევ ამხ. მ. ორახელაშვილი თავის ზემოთხსენებულ ნაშრომში ამიერ-კავკასიის ბოლშევიკების მიერ კავკასიის ფრონტის დემობილიზებული, გაბოლშევიკებული სამხედრო ნაწილების გამოყენების შესაძლებლობის საკითხში.

„ხოლო ამავე დროს,—სწერს იგი,—გაბოლშევიკდა არა მარტო არმიის ზურგი, არამედ ფრონტიც: სარაყამიშის სამხედრო რევოლუციური კომიტეტი უკვე მუშაობდა ბოლშევიკების ხელმძღვანელობით და ბოლშევიკთა კავკასიის სამხარეო კომიტეტთან არსებულ სამხედრო ორგანიზაციათა ბიუროს დირექტივებით: ტფილისის გაბოლშევიკებულ გარნიზონს მენშევიკები აკავებდნენ გამოსვლებისაგან ჯარისკაცთა განუწყვეტელი დემობილიზაციით და შინ გაგზავნით: ჯარისკაცთა შორის კი შინისკენ ლტოლვა ძლიერი, გადაულახავი იყო, ფრონტის არმია თავიდან იშორებდა და სანგრებში სტოვებდა ესერების მატყუარა ილუზიებს, იგი სულ უფრო და უფრო გამემარცხენებული უკვე დაიძრა რკინიგზებით და ეშელონებით მიდიოდა ტფილისზე გავლით. ბლოკი ღებულობს გადაწყვეტილებას უვნებელჰყოს გაბოლშევიკებული არმია როგორც თავის სახარგებლოდ, ისე ცენტრალური რუსეთის ანტიბოლშევიკური ძალების სახარგებლოდ, განსაკუთრებით კი ჩრდილო-კავკასიის და დონის სახარგებლოდ, სადაც უკვე დაიწყეს ფაცა-ფუცი ყაზახთა ატამანებმა, ამავე დროისათვის ზოგიერთ ხელმძღვანელ ბოლშევიკთა შორის დაისახა გეგმა გამოეყენებინათ გამვლელი სამხედრო ნაწილები ბლოკზე შეგავლენის მოსახდენად, რათა იძულებული გაეხადნათ იგი ეცნო რუსეთის ს.ფ.ს. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს ხელისუფლება. იყვნენ ისეთნიც, რომლებიც საჭიროდ და შესაძლებლად სთვლიდნენ ნაწილების გამოყენებას იმისათვის, რომ დაეკავებინათ ტფილისი და დაემხოთ შემთანხმებელთა ხელისუფლება. მაგრამ სამხარეო კომიტეტი ამგვარად არ სწყვეტდა საკითხს. ეს იმიტომ კი არა, რომ შეუწყნარებლად მიაჩნდა ასეთი გადატრიალება, არამედ იმიტომაც, რომ ჯერ კიდევ ჰქონდა იმედი, რომ მშვიდობიანად გადაიჭრებოდა კრიზისი, შექმნილი იმ ბლოკის კონტრრევოლუციური პოზიციით, რომელიც არ სცნობდა ოქტომბრის რევოლუციის ცეცხლიდან გამოსულ ხელისუფლებას, მაგრამ ეს იმედი სრულიად უნიადაგო აღმოჩნდა. ბლოკი და მენშევიკების პარტია, რომელიც ამ ბლოკს ხელმძღვანელობდა, შეუჩერებლივ მიექანებოდნენ კონტრრევოლუციური სეპარატიზმის გზაზე. ამასთან სარგებლობდნენ ახალი მდგომარეობით, რომელიც შექმნა ფრონტის დაწყებულმა ლიკვიდაციამ და თურქეთის ჯარების მოახლოვებამ ამიერ-კავკასიის საზღვრებთან“ (იქვე, გვ. 52).

ამხ. მ. ორახელაშვილი თითონ აღიარებს, რომ ეს იყო რეალური შესაძლებლობა; იგი არ მალავს, რომ ბოლშევიკთა ერთი ნაწილი დაჟინებით მოითხოვდა მოძრაობის სათავეში ჩადგომას, რათა ეს შესაძლებლობა გადაექცია სინამდვილედ, დაემხო მენშევიკების მთავრობა და განეხორციელებინა საბჭოთა ხელისუფლება.

ბოლოს, ამხ. მ. ორახელაშვილი არ მალავს იმ ფაქტსაც, რომ ბოლშევიკთა მაშინდელი სამხარეო კომიტეტის უმრავლესობამ უარჰყო ეს თვალსაზრისი „კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაჭრის იმედით“. და აი ამხ. მ. ორახელაშვილმა საჭიროდ არ ჩასთვალა მიეცა თავის ნაშრომში ამიერ-კავკასიის იმ ხელმძღვანელ ბოლშევიკთა ერთი ნაწილის ამ ოპორტუნისტული ხაზის კრიტიკა, რომლებსაც ჯერ კიდევ ჰქონდათ კრიზისის მშვიდობიანი გზით გადაჭრის იმედი, ე. ი., სხვანაირად, რომ ვთქვათ, სჯეროდათ, რომ ამიერ - კავკასიის კონტრრევოლუციური ბლოკი მენშევიკების მეთაურობით აღიარებდა ოქტომბრის რევოლუციის ხელისუფლებას.

ასე იწერება ისტორია ამხ. მ. ორახელაშვილის მიერ ყოველივე ეჭვს გარეშეა, რომ მან უნდა გააკრიტიკოს და გამოასწოროს ყველა თავისი შეცდომა, რომლებიც არსებითად წარმოადგენენ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის ფალსიფიკაციას.

მანდარინი მოდის

(ჩვენი საქ. კორ.).

მახინჯაურში (ბათომის რაიონი) დაიწყო მანდარინის მასობრივად კრეფა. კოლმეურნეობები და მშრომელი ერთპიროვნული მეურნეები დიდი ხალისით აბარებენ სახელმწიფოს ციტრუსოვანთა მოსავალს.

წელს მახინჯაურში უნდა დამზადდეს 12.000 ათასი მანდარინი, 370.000 ფორთოხალი და 50.000-ზე მეტი ლიმონი, ანუ შარშანდელზე ექვსჯერ მეტი. მიუხედავად ცუდი ამინდისა (ხშირი წვიმები და სიცივე), ციტრუსოვანთა ნაყოფის კრეფა და დამზადება წარმატებით მიმდინარეობს.

13 ნოემბრისათვის მახინჯაურელებს მიმღებ პუნქტებისათვის ჩაბარებული ჰქონდათ 877.790 საუკეთესო ხარისხის მანდარინი.

არიან ჩამბარებლები, რომლებიც პირნათლად ასრულებენ საკონტრაქტაციო ხელშეკრულებებს. მაგალითად, ახმედ ბერიძე. 30 ოქტომბერს მან მიმღებ პუნქტს 4.811 მანდარინი ჩააბარა, 3 ნოემბერს — 17.666 ცალი, 9 ნოემბერს — 17.986, ხოლო 10 ნოემბერს — 28.597 ცალი. ახმედი წელს სახელმწიფოს 262.180 მანდარინს აბარებს. ამაში ის 50.000 მანეთზე მეტს მიიღებს. შემოსავალს ელის ლიმონისა და ფორთოხლის ნაყოფისაგანაც.

კარგი ჩამბარებელია აგრეთვე ახმედის ძმა სულეიმან ბერიძე, რომელსაც მანდარინის ჩაბარების წლიური გეგმა 13 ნოემბრისათვის 19,9 პროცენტით ჰქონდა შესრულებული. სულეიმანი და ისმაილი მანდარინს ყოველდღიურად და შერჩევით კრეფენ.

ზოგი კოლმეურნე, თავიანთ საკარმიდამო ნაკვეთებზე გაშენებულ მანდარინიდან წელს რამდენიმე ათეული ათას მანეთ შემოსავალს მიიღებს. მაგალითად, კოლმეურნეობის წევრები ძმები სულეიმან და მემედ მხეიძეები წელს სახელმწიფოს 374.000 ცალ მანდარინს აბარებენ. ამაში ისინი მიიღებენ 55.000 მანეთს.

ციტრუსოვანთა მოსავალი მოლოდინს აჭარბებს, მახინჯაურის მიმღები პუნქტი ყოველმხრივ მზად არის. აქვს 75.000 ყუთი, მომარაგებულია საკმაო რაოდენობის შესაფუთი ქაღალდი. პუნქტმა ააგო ახალი საწყობი.

წინასწარი განრიგის მიხედვით დამზადებული მანდარინი დაუგვიანებლივ იგზავნება დანიშნულებისამებრ.

თენგიზ ჟღენტი

ჩემი შეცდომების შესახებ პრაღის კონფერენციის პერიოდში

ბოლშევიკური პარტიის ისტორია —ეს არის ისტორია იმ თავდადებული, შეურიგებელი ბრძოლისა, რომელსაც ლენინისა და სტალინის მეთაურობით ჩვენი პარტიის საუკეთესო ადამიანები ეწეოდნენ ათეული წლების მანძილზე ყოველი ჯურის ოპორტუნიზმის წინააღმდეგ.

ჩვენი მუშურ-გლეხური ახალგაზრდობის მარქსისტულ-ლენინური აღზრდისათვის არ არსებობს უკეთესი გამოცდილება, უკეთესი იარაღი, ვიდრე არის ჩვენი სახელოვანი პარტიის ისტორია.

ბოლშევიკური პარტიის ისტორიის საკითხები ორგანიულად არის დაკავშირებული იმ გმირულ ბრძოლასთან, რომელსაც ჩვენი პარტია აწარმოებს დღეს სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტზე. პარტიის ლოზუნგები, ლენინიზმის იდეები, რომლებსაც დაეუფლნენ და ეუფლებიან მილიონები, გადაიქცნენ დაუძლეველ მატერიალურ ძალად.

ლენინ-სტალინის პარტიის სახელოვანი ისტორიის გამოცდილებაზე ჩვენ ვზრდით პარტიის ახალგაზრდა წევრებს, კომკავშირს, მთელს ჩვენს ახალგაზრდობას. ამიტომ არის, რომ ჩვენი პარტიის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს პარტიის ისტორიის საკითხებს. „სათანადო სიმაღლეზე ავიყვანოთ ბოლშევიზმის ისტორიის საკითხები, ჩვენი პარტიის ისტორიის შესწავლის საქმე დავაყენოთ მეცნიერულ, ბოლშევიკურ რელსებზე და გავამახვილოთ ყურადღება ჩვენი პარტიის ისტორიის ტროცკისტული ფალსიფიკატორებისა და ყველა სხვა ფალსიფიკატორების წინააღმდეგ და სისტემატიურად ავხადოთ მათ ნიღაბი“ — გვასწავლის ამხ. სტალინი.

ამხ. ლავრენტი ბერიას ცნობილი მოხსენება—„ამ. კავ. ბოლშევიკური ორგანიზაციების ისტორიის საკითხისათვის“—ამ მხრივ წარმოადგენს „მძლავრ დასაყრდენს ბოლშევიზმის ისტორიის შესწავლისათვის“ („პრავდა“). ამხ. ლ. ბერია ამ მოხსენებაში იძლევა ლენინურ-სტალინური პარტიის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი რაზმის—ამიერ-კავკასიის ბოლშევიკური ორგანიზაციის წარმოშობისა და განვითარების პირველ ნამდვილ მარქსისტულ-ლენინურ ნარკვევს. ამხ. ბერიას მოხსენება წარმოადგენს მეცნიერული კეთილსინდისიერების, მაღალი მარქსისტულ-ლენინური პრინციპიალობისა და ბოლშევიკური შეურიგებლობის საუკეთესო ნიმუშს.

ამხ. ლ. ბერიას მოხსენების უდიდესი ღირსება მდგომარეობს აგრეთვე იმაში, რომ აქ ფოლადისებური თანმიმდევრობით და ლენინურ-სტალინური შეურიგებლობით არის გამომჟღავნებული ამ.-კავ. პარტორგანიზაციების ისტორიის გამრუდების, დამახინჯების და ფალსიფიკაციის ცდები, რასაც ადგილი აქვს მთელი რიგი ამხანაგების ნაშრომებში.

ამხ. ბერიას მოხსენებაში გაშუქებულია ამიერ-კავკასიის და საქართველოს პარტორგანიზაციების ბრძოლისა და განვითარების ყველა მნიშვნელოვანი ეტაპი, გამომჟღავნებულია ლენინური ხაზიდან გადახვევის, ოპორტუნისტული მერყეობისა და შემარიგებლობის ყველა საყურადღებო ფაქტი. კერძოდ, სავსებით სწორად არის ანალიზებული და შეფასებული საქართველოს ბოლშევიკების ერთი ჯგუფის და კერძოდ ჩემი 1912—1918 წლებში მენშევიკ-ლიკვიდატორებისადმი შემარიგებლობისა და მენშევიკებთან თანამშრომლობის ოპორტუნისტული პრაქტიკა.

ჩვენი პარტიის ისტორიაში 1912 წელი—ეს ის პერიოდია, როდესაც „პრაღის“ კონფერენციაზე მენშევიკებთან გათიშვა საბოლოოდ გაფორმდა. ბოლშევიკებმა, რომლებმაც მენშევიკებთან ფორმალური გაერთიანება მენშევიზმის გასანადგურებლად გამოიყენეს, პრაღის კონფერენციაზე საბოლოოდ განდევნეს პარტიიდან მენშევიკ-ლიკვიდატორები და სამუდამოდ მოუღეს ბოლო მენშევიკებთან ფორმალური გაერთიანების ყოველგვარ ნაშთს“. (ლ. ბერია „პრაღის კონფერენციის საკითხისათვის“ —26 ოქტ. „პრავდა“).

პრაღის კონფერენციამ საბოლოოდ მოსპო პარტიაში ფრაქციულობა, რაც წარმოადგენდა „სოც.-დემ. პარტიის ერთი განსაზღვრული ისტორიული ეპოქის—1903 წ.—1911 წლამდე—უმთავრეს და განმასხვავებელ მხარეს“) ლენინი გამ. ვ., ტ.—17, გვ. 280).

„ცნობილია,— სთქვა ამხ. სტალინმა პარტიის მე-15 ყრილობაზე,— რომ ლენინმა, რომელიც აგროვებდა პარტიას, მოიწვია ბოლშევიკების კონფერენცია 1912 წელს პრაღაში. (ცნობილია, რომ ამ კონფერენციას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ჩვენი პარტიის ისტორიაში, რადგან მან საზღვარი დასდო ბოლშევიკებსა და მენშევიკებს შორის და გააერთიანა ბოლშევიკური ორგანიზაციები მთელს ქვეყანაში ერთიან ბოლშევიკურ პარტიად“.

ჯერ კიდევ 1911 წელს ამიერ-კავკასიაში (ბაქო, ტფილისი) ამხ. სტალინის, ორჯონიკიძის და სპანდარიანის ხელმძღვანელობით ბოლშევიკური ორგანიზაციები აწარმოებენ სამზადისს პრაღის კონფერენციის მოწვევისათვის. მთელი ეს სამზადისი მიმდინარეობს ლიკვიდატორ - მენშევიკების წინააღმდეგ ბრძოლის ნიშნით.

პრაღის კონფერენციის შემდეგ, 1912 წ. მარტში ბაქოსა და ტფილისში ჩამოდის ამხ. სტალინი, რომელიც ადგილობრივ ბოლშევიკურ ჯგუფებს აცნობს კონფერენციის გადაწყვეტილებებს და ხელმძღვანელობს ბრძოლას მენშევიკ-ლიკვიდატორების წინააღმდეგ.

მიუხედავად ამისა, 1912 წელს, როდესაც მე განვთავისუფლდი ქუთაისის ციხიდან, ამავე წლის დამლევიდან 1913 წლის ნოემბრამდე მე ვთანამშრომლობდი გაზეთ „მერცხალში“, რომელსაც ხელმძღვანელობდნენ მენშევიკები.

1913 წლის შემოდგომაზე კი დაესწარი ამიერ-კავკასიის საოლქო კონფერენციას. სავსებით სწორია ამხ. ლ. ბერია, როდესაც ამ კონფერენციას ახასიათებს, როგორც მენშევიკურ-ლიკვიდატორულს.

მე, როგორც ბოლშევიკი, ვალდებული ვიყავი გამოვსულიყავი და მემხილებინა მენშევიკების ლიკვიდატორული პოლიტიკა და პრაღის კონფერენციის გადაწყვეტილებათა საფუძველზე დაუყოვნებლივ შემეწყვიტა ორგანიზაციული კავშირი მათთან.

მართალია, 1913 წელს ჩემის ინიციატივით ქუთაისში ჩამოყალიბდა ცალკე ბოლშევიკური უჯრედი (იხ. „რევ. მატიანე“ 1928 წლ. № 2).

მაგრამ ეს არ იყო საკმარისი, საჭირო იყო მენშევიკებისაგან ორგანიზაციულადაც საბოლოოდ გამიჯვნა და ბოლშევიკური ორგანიზაციის შექმნა ქუთაისში.

არ არის სწორი აგრეთვე ჟურნალი „რევ. მატიანის“ 1928 წლის მე-2 ნომერში დაბეჭდილ ჩემს წერილში („ზოგიერთი ეპიზოდები პარტიულ მუშაობიდან 1905 წლის შემდეგ“) გამოთქმული აზრი იმის შესახებ, თითქოს „თვითმპყრობელობასთან ბრძოლაში და პარტიულ მუშაობაში იმ დროს საქართველოში „საერთო ფრონტის“ მსგავსი რაღაც არსებობდა“. პირიქით, პრაღის კონფერენციის შემდეგ ამიერ-კავკასიისა და საქართველოს ბოლშევიკები, ამხ. სტალინის მეთაურობით, საბოლოოდ გამოვიდნენ გაერთიანებული პარტიის ორგანიზაციული ჩარჩოებიდან და გაშალეს უდიდესი ბრძოლა მენშევიკ-ლიკვიდატორების საბოლოო განადგურებისათვის.

მაშინ, როდესაც ამხ. სტალინი მთელ რიგ დისპუტებზე, თავის ნაშრომებსა და სტატიებში ამჟღავნებს მენშევიკ-ლიკვიდატორებს და ასაბუთებს, რომ ოპორტუნისტებთან არ შეიძლება არავითარი ერთიანობა, რომ ბოლშევიკებისათვის ერთადერთი სწორი გზა არის მენშევიზმის—ამ სტოლიპინის „მუშათა პარტიის“ ამოაშკარავებისა და განადგურების გზა, (ხაზი ჩემია), ამ პერიოდის შეფასება მენშევიკებთან „ერთიანი ფრონტის მსგავს“, პერიოდად, ყალბი და შეცდარია.

„ჩვენ ვამტკიცებთ,—სწერდა ამხ. სტალინი გაზეთ „პრავდაში“ 1913 წელს,—რომ მტკიცე იქნება მხოლოდ ის ერთიანობა, რომელსაც შექმნიან თვით მუშები ფაბრიკებსა და ქარხნებში. იმათი ლოზუნგი, ვისაც სურს ნამდვილი ერთიანობა, უნდა იყოს: ერთიანობა ქვევიდან. დაწყება მეორე ბოლოდან—ლიკვიდატორების ხელმძღვანელ ჯგუფთან დიპლომატიური „მოლაპარაკებიდან“—ეს იქნება ერთიანობის საქმის გაჭიანურება და არა დაჩქარება“ („პრავდა“ 1913 წლ. № 31).

ამხ. ლ. ბერიამ ბოლშევიკურად გააკრიტიკა ჩემი პოზიცია 1912 — 13 წლებში და გამოიყვანა სავსებით სწორი დასკვნა იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის ბოლშევიკებს, ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით, ბრძოლა უხდებოდათ არა მარტო მენშევიკებისა და ბურჟუაზიული ნაციონალისტების წინააღმდეგ, არამედ შემარიგებლობისა და შემთანხმებლობის წინააღმდეგაც.

ჩვენი პარტიის ნამდვილი ისტორიის, მისი სახელოვანი წარსულის შესწავლამ კიდევ უფრო უნდა გაზარდოს პარტიის თვითეულ წევრში იდეური შეურიგებლობისა და ბოლშევიზმის ორგანიზაციული ტრადიციებისადმი ერთგულების გრძნობა. ამ მხრივ ამხ. ლ. ბერიას მოხსენება, გაზ. „პრავდის“ სავსებით სწორი თქმით, წარმოადგენს უძვირფასეს განძს ბოლშევიზმის მატიანეში.

16 ნოემბერს, საღამოს 7 საათზე, საქ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის სხდომის დარბაზში (რუსთაველი, 28) შესდგება საქ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის კულტპროპგანყოფილების გამგის ამხ. ბედიას მოხსენება პარტაქტივისათვის შემდეგ თემაზე:

„ბოლშევიკური პრაღის კონფერენცია“

შესვლა მოსაწვევი და პარტიული ბილეთებით.

საქ. კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის
კულტპროპგანყოფილება.

ჩვენ გვწერენ

250 სტუდენტი ერთ აუდიტორიაში

წელს ამიერ-კავკასიის ამხ. კიროვის სახელობის ინდუსტრიულ ინსტიტუტთან გაიხსნა ეგრეთწოდებული ექსტერნატურა, სადაც მიღებულია 500-მდე მსმენელი.

ექსტერნატურის პირველი კურსი ორ ჯგუფად არის გაყოფილი; ქართულ ჯგუფში 250 სტუდენტია. რომელთაც სამეცადინოდ ერთი პატარა აუდიტორია მიუჩინეს ქალაქგარეთ, არსენალის (მახათას) მთაზე.

აუდიტორია ვერ იტევს ამდენ სტუდენტებს. გვაკლია სკამები, მაგიდები, რის გამოც სტუდენტებს უხდებათ ფანჯარასა და იატაკზე ჯდომა. აქ არ შეიძლება ლექციის დროს რაიმე ნახაზის შესრულება.

სტუდენტებმა მრავალჯერ მიმართეს დირექტორის მოადგილე ამხ. ა. გულისაშვილს, მაგრამ მათი მიმართვა დარჩა ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

თუ დირექცია არ შეუქმნის ექსტერნატებს ნორმალური მეცადინეობის პირობებს, მაშინ ექსტერნატურა ნაყოფს ვერ მოგვცემს.

ს. თვალჭრელიძე.

მოვითხოვთ სამკითხველოს გახსნას

ჯულელი. ს. ილემში 500 კომლი გლეხი ცხოვრობს, რომლებიც გაერთიანებული არიან კოლმეურნეობაში. დღემდე მათ შორის არავითარი კულტურული მუშაობა არ წარმოებს.

სოფელს არც სამკითხველო აქვს და არც ჟურნალ-გაზეთების გავრცელებაზე ზრუნავს ვინმე.

საჭიროა მოეწყოს სამკითხველო და გაძლიერდეს კულტმუშაობა.

გ. ჯიქურიძე.
გ. ზარდიაშვილი.

რას ფიქრობს ხაშურის რაიმიწგანი

სტალინისის რაიონის მთელ რიგ სოფლებში თავი იჩინა ღორის სენმა. მაგ. სოფ. ჭალაფლევში, ქვიშხეთსა და წრომში ის მეტად გავრცელებულია; სანიტარულ და საკარანტინო ზომების მიუღებლობით მოსალოდნელია სენის მთელს რაიონში გავრცელება.

რაიმიწგანი და ვეტექიმები კი ჯერჯერობით გულდამშვიდებით შეჰყურებენ საქმეს და საჭირო ზომებს არ ღებულობენ.

ს. გელაშვილი
გ. გოგოლაძე

„გამგეობის სხდომაც ხომ კრებაა“

— კრება? გამგეობის სხდომაც კრებაა. მორჩა და გათავდა... ახირებულნი არიან ეს ჩვენი კოლმეურნეობის სარევიზიო კომისიის წევრები, მაგრამ ხვალვე გადავაყენებ მათ! — ჩაილაპარაკა ჩოხატაურის რაიონის სოფ. ნაკადულის კოლმეურნეობა „წინსვლის“ თავმჯდომარემ **სიმონ გაგუამ** და ფიცხლავ გამგეობის სხდომა დანიშნა.

მეორე დღეს სიტყვა საქმედ აქცია. საერთო კრების მიერ არჩეული სარევიზიო კომისია გამგეობის სხდომაზე „გადაახალისა“. აირჩიეს „ძმაბიჭებისაგან“ შემდგარი ახალი სარევიზიო კომისია.

„წინსვლის“ გამგეობას კოლმეურნეებთან დღემდე არ გაუსწორებია გასული წლის საბოლოო ანგარიში. წევრებს შრომადღის კუთვნილი სიმინდი არ მიუღიათ.

გამგეობა სისტემატურად უარს ეუბნება კოლმეურნეებს, რომლებიც თხოულობენ ხარებს ყანებიდან სიმინდის გამოსაზიდად.

აკ. აბულაძე.

საქართველოს სახკომსაბჭოს დადგენილება

სამრეწველო საწარმოთა გაწყობილობის შედგენილობისა და მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვის შესახებ

ვინაიდან სამრეწველო საწარმოთა გაწყობილობის შედგენილობისა და მოძრაობის წესიერ აღრიცხვას უდიდესი მნიშვნელობა აქვს მრეწველობის (ცალკეული დარგებისა და მთლიანად სახალხო მეურნეობის გაწყობილობის საპერსპექტივო და აღსრულებითი ბალანსების შედგენის დროს, და ვინაიდან ეს აღრიცხვა მთელ რიგ საწარმოებში აქამდე შემოღებული არ არის, ან დაყენებულია არადამაკმაყოფილებლად, — საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1. დაევალოს ადგილობრივი მრეწველობისა და შინავაჭრობის სახალხო კომისარიატებს, აგრეთვე ყველა სხვა უწყებას და ორგანიზაციას (სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტი, საქალაქო საბჭო, კოოპერაცია და სხვა მისთ.), რომელის სისტემაშიაც სამრეწველო საწარმოა, დაამთავრონ მე-4 კვარტალის განმავლობაში თავის ქვემდებარე სამრეწველო საწარმოში ერთიანი საინვენტარო კარტაკის შემოღება და მოაწყონ ამ კარტაკის საფუძველზე გაწყობილობის შედგენილობისა და მოძრაობის მიმდინარე აღრიცხვა, რისთვისაც უნდა გამოიყენონ მანქანებისა და ტექნიკური გაწყობილობის ინვენტარიზაცია, რაც ახლა სწარმოებს.
2. კარტაკის შემოღებისა და აღრიცხვის წარმოების დროს სახელმძღვანელოდ მიღებულ უნდა იქნეს სსრკ-ის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცენტრალური სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველოს მითითებანი და ინსტრუქცია; ამასთანავე, საქმის წესიერი დაყენება უზრუნველყოფილ უნდა იქნეს საჭირო შემთხვევაში სპეციალურად პასუხისმგებელ პირთა გამოყოფით უშუალო ხელმძღვანელობისა და კონტროლისათვის.
3. საინვენტარო კარტაკის შემოღება ეკისრება ბუხჰალტერიას — ისე კი, რომ კარტაკის შევსება სპეციალური ხასიათის საკითხების შესახებ ცნობებით უნდა ხდებოდეს საწარმოს საინჟინერო-სატექნიკო მომუშავეთა მონაწილეობით.
4. საქართველოს სსრ სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის სამმართველომ უნდა შეამოწმოს ერთიანი საინვენტარო კარტაკის შემოღება და აღრიცხვის მდგომარეობა სამრეწველო საწარმოებში და რაც გამოირკვევა, აცნობოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს არა უგვიანეს 1936 წ. თებერვლის 1-სა.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ბუდუ მდივანი.

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი ა. ქავთარაძე.

1935 წ. ნოემბრის 6.
№ 1530, ტფილისი.

საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის გამოფენა

ტფილისის საჯარო ბიბლიოთეკის მესამე სართულზე ე. წ. ნაციონალურ კაბინეტში ყურადღებას იქცევს მიყოლებით დალაგებული ვიტრინები, მაგიდები და თაროები, რომლებიც მოფენილია წიგნებით, ჟურნალ-გაზეთებით, ალბომებით. აქ დაინახავთ ერთდაიმავე წიგნს, სხვადასხვა ენაზე, რუსული, ქართული, ძველი თურქული, მონგოლური, ჩინური, ლათინური და სხვა შრიფტით დაბეჭდილს. ყოველ ვიტრინაზე დასახელებულია ეროვნება. მცხოვრებთა რიცხვი და შემდეგ გამოფენილია ბეჭდვითი პროდუქციის ნიმუშები. ეს არის საბჭოთა კავშირის ხალხთა ლიტერატურის გამოფენა, რომელსაც აღტაცებაში მოჰყავს მნახველი.

სტალინი—„ახალგაზრდობის შესახებ“ — მონღოლურ ენაზე დაბეჭდილი წიგნის ყდა

მართლაც, ვის არ შეხვდებით აქ! აქ წარმოდგენილია შუააზიის, დასავლეთ ციმბირის, ჩრდილო-კავკასიის, ამიერ-კავკასიის ხალხთა ბეჭდვითი პროდუქციის ნიმუშები; აქვე ნახავთ ჩვენი ქვეყნის უკიდურესი ჩრდილოეთის ბინადართა ენებზე გამოცემულ წიგნებსაც. ესენი არიან: ვოგულები, ლამუტები, ტუნგუსები, ნანაიები, ევენგები, ჩუქჩები, იაკუტები და ესკიმოსები. ეს ის „ტუზემცები“ არიან, რომელთა შემოქმედება მხოლოდ ზეპირსიტყვაობა იყო — ტაიგისა და არქტიკული ზღაპრები; მათ დამწერლობა არ ჰქონდათ. დღეს კი საბჭოთა ხელისუფლებამ იქ სკოლები გახსნა, ტიკსის ბუხტიდან მდ. ლენას შესართავამდე ამ დღეებში გაყვანილ იქნა ყინული! პირველი საავტომობილო ტრასა და ტიკსის მოზამთრეებმა იაკუტიის საშეფო სკოლიდან მოსულ სტუმრებთან ერთად იდღესასწაულეს ოქტომბრის 18 წლისთავი.

აი, რა ხალხთა ეცნობით ამ გამოფენაზე. ეს ხალხი საკუთარ ენაზე კითხულობს და სწავლობს მარქსს, ენგელსს, ლენინს, სტალინს, რუსული და უცხოეთის ლიტერატურის კორიფეებს: ჰიუგოს, ბარბიუსს, რომენ როლანს. გამოფენაზე წარმოდგენილია საბჭოთა კავშირის ასამდე ნაციონალური ერთეული, რომელიც თანდათან ივსება ახალ-ახალი ექსპონატებით და მეტად დიდ ინტერესს იწვევს. გამოფენა მუდმივია. სხვათა შორის უნდა აღვნიშნოთ, რომ საჭიროა ფართობის მომატება, ექსპონატების სისტემატიზაცია და განმარტებითი მაჩვენებელი, რომლის როლსაც ამჟამად ასრულებს გამოფენის ხელმძღვანელი **ალექსანდრე ალიხანოვი.**

Bisiiceskej
Kuljtuura

სკოლის სახელმძღვანელო „ფიზკულტურის“ წიგნის ყდა იაკუტელთა ენაზე.

„ბარონ მიუნჰაუზენის თავგადასავალი“ — კორეულ ენაზე დაბეჭდილი წიგნის ყდა

ყველაზე დიდი ელევატორი შავი ზღვის სანაპიროზე

ფოთში შენდება „კავშირფქვილის“ წისქვილკომბინატი, რომელშიაც შევა: პირველი რიგის ელევატორი ერთი მილიონი ფუთი ხორბლის ტევადობით, მეორე რიგის ელევატორი ერთი მილიონი ფუთი ხორბლის ტევადობით, მეორე რიგის ელევატორი ისეთივე ტევადობით, წისქვილი 200 ტონა ხორბლის გამტარუნარიანობით დღეღამეში. მთელი კომბინატის მშენებლობა უნდა დამთავრდეს და კომბინატი მთლიანად ამუშავდეს 1938 წელს, ხოლო პირველი რიგის ელევატორი და წისქვილი—1936 წელს, მეორე რიგის ელევატორი — 1938 წელს.

ელევატორი, რომელიც ფოთში შენდება, ყველაზე დიდი, ყველაზე უმაღლესი ნაგებობა იქნება შავი ზღვის სანაპიროზე. მისი კოშკის სიმაღლე იქნება 47,8 მეტრი, სასილოსე კორპუსისა—31,2 მეტრი, ყველა სამუშაოს რკინა-ბეტონის მოცულობა—6.000 კუბიკური მეტრი.

ვიქტორ ჰიუგო ქართულად

ცნობილმა მთარგმნელმა ივანე მაჭავარიანმა ფრანგულიდან სთარგმნა ვ. ჰიუგოს რომანი „საბრალონი“. რომანი გადაეცა სახელგამს.

1-ლი საცდელ-საჩვენებელი ქართული სკოლის გამომგონებელი მოდელისტი პიონერი **შურა მაილოვი** (მე-8 კლასის მოწაფე) უხსნის პიონერ-ქალს **კორკოტაშვილს** თავისი კონსტრუქციის თვითმავლის მოდელს

ლიტოპონის ქარხნის მშენებლობა

ქუთაისი. მეოთხე წელია ქუთაისში შენდება საბჭოთა კავშირის ქიმიური მრეწველობის ერთერთი მძლავრი ქარხანა — ლიტოპონის ქარხანა 12 ათასი ტონა თეთრი მინერალური საღებავის წლიური სიმძლავრით.

ამჟამად მშენებლობის პროცესშია ქარხნის მთავარი კორპუსი, საქვაბე, თუთიის კონცენტრანტების და მზა პროდუქციის საწყობები. ყველა ამ ობიექტის მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე წლის ბოლოს. მთავარი კორპუსის მშენებლობა თითქმის დამთავრებულია.

სექტემბერში დაიწყო გაზგენერატორის საამქროს და ქარხნის სამმართველოს შენობის აგება.

მოწყობილობის ნაწილი ქარხნისათვის უკვე მოტანილია. მოწყობილობათა მასობრივ მიღებას დეკემბერში მოელიან.

პირველი სამონტაჟო სამუშაოები დაიწყო ნოემბრიდან, ხოლო მომავალი წლის პირველ კვარტალში სამონტაჟო სამუშაოები მთლიანად გაიშლება.

ქარხანა 1936 წლის ბოლოს ამუშავდება.

შ. მიქელაძე—მათემატიკის დოქტორი

ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკურ-მათემატიკური ფაკულტეტის ღია სხდომაზე პროფ. ნ. ი. მუსხელიშვილის თავმჯდომარეობით გაიმართა უნივერსიტეტის დოცენტის შ. ე. მიქელაძის დისერტაციის დაცვა მათემატიკის დოქტორის ხარისხზე. დისერტაციის თემა იყო „დიფერენციული და ინტეგრალური განტოლებების რიცხვობრივი გადაწყვეტის მეთოდები“.

ოპონენტებად მოწვეულნი იყვნენ მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი გ. ა. ლავრენტიევი და ტფილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი ა. კ. ხარაძე. ოპონენტების, აგრეთვე აკადემიკოს ა. ნ. კრილოვის შეფასებით, შ. ე. მიქელაძის სადისერტაციო ნაშრომი (დაიბეჭდა „სსრ კავშირის სამეცნიერო აკადემიის უწყებებში“) წარმოადგენს მეცნიერების ძვირფას განძს და იძლევა ახალ, ფრიად ეფექტურ მეთოდებს მათემატიკის გამოსაყენებლად იმ ამოცანების გადაწყვეტაში, რომლებსაც მას ტექნიკა უყენებს.

ფაკულტეტის საბჭომ ერთხმად სცნო შ. ე. მიქელაძე მათემატიკის დოქტორის სწავლული ხარისხის ღირსად.

დისერტაციის დაცვას უნივერსიტეტის კლუბში დაესწრო 700-მდე კაცი—სამეცნიერო საზოგადოებრიობისა და სტუდენტობის წარმომადგენლები.

„მადლობა, მშობლიურ ზრუნველობისათვის“

ქუთაისი, (საკ. კორ.) ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის სტახანოველი დამკვრელი კომბინატის ხელმძღვანელ ამხანაგებთან ერთად ენტუზიაზმით გამოეხმაურენ მოსკოვის „ტრიოხგორის“ ფაბრიკის დედათა ინიციატივას და ოქტომბრის დღესასწაულებზე თავიანთ ოჯახებში მიიპატიჟეს ქუთაისის წულუკიძის სახელობის საბავშვო სახლის ბავშვები.

38 ოჯახში, მშობლიური მზრუნველობა და ალერსი იგრძნო 38 უპატრონო ბავშვმა. ისინი 7, 8 და 9 ნოემბერს ამ ოჯახის ბავშვებთან და მშობლებთან ერთად ატარებდნენ დროს... ბევრი მათგანი წაიყვანეს საექსკურსიოდ სოფლებში, სადაც ბავშვებს გააცნეს დამკვრელი კოლმეურნეები და კოლმეურნე-ქალები. თავის მხრივ კოლმეურნეებმა ბავშვები სადღესასწაულო წვეულებაზე მიიპატიჟეს.

დიდი და უსაზღვრო იყო ბავშვების აღფრთოვანება ამ სტუმრობის დროს.

აი რა სთქვა პატარა გოგონამ **ვენერა მეტრეველმა** თავის მასპინძლის გუგუ შენგელიას შესახებ:

„არასდროს არ დამავიწყდება ის მზრუნველობა და დედობრივი ალერსი, რომელიც გამოიჩინა ჩემს მიმართ დეიდა გუგუმ. მე დედა არ მახსოვს, მაგრამ დედის ალერსი პირველად ვიგრძენი გუგუსთან ყოფნის დროს“.

გუგუ შენგელიამ შეფობა აიღო ვენერაზე და ყოველ დასვენების დღეს მ. ვენერას თავის ოჯახში იყოლიებს.

შემთხვევები

#**ბოროტმოქმედის შეპყრობა.** დააპატიმრეს ქურდი-რეციდივისტი ს. ზ. ნიკოლიანი (იგივე არუთინიანი, იგივე ხინკელაშვილი), რომელსაც სისტემატური ქურდობისათვის მისჯილი აქვს 3 წლით თავისუფლების აღკვეთა. იგი გაქცეული იყო შრომა-გასწორების სახლიდან. დაპატიმრებულს ქურდობის 8 რეგისტრაცია აქვს.

#**ქურდობა.** შეიპყრეს უბინაო მ. ი. ჩენცოვა და ტ. მ. ჟურმა, რომლებმაც მოქ. პ. ს. ცირკვაძის ბინიდან (საბჭოს ქ. 119) მოიპარეს საცვლები.

#**ხულიგნების დაპატიმრება.** სიმთვრალის დროს ჩხუბისა და მოქალაქეთა შეურაცყოფისათვის დააპატიმრეს მ. ს. აზარიაშვილი (ათარბეგოვის ქ. 49) და ს. ს. რადშველაშვილი (საბჭოს ქ. 1). მათი საქმე გადაეცა სასამართლოს.

ხელოვნება

„ბატონი ოფიცრები“ წითელი არმიის თეატრში

17 ნოემბერს წითელი არმიის თეატრში მიდის გალიჩნიკოვის და პაპარიგოპულოს პიესა „ბატონი ოფიცრები“. პიესას დგამს ახალგაზრდა რეჟისორი დიმ. ალექსიძე, რომელმაც დაამთავრა მოსკოვის თეატრალური ინსტიტუტი და სადიპლომო ნაშრომი ჩააბარა ამავე თეატრში, სადაც შარშან წარმატებით დადგა რომაშოვის პიესა „მებრძოლები“.

რეჟისორი დ. ალექსიძე.

პიესა, რომელზედაც მე ვმუშაობ,—განაცხადა ამხ. ალექსიძემ— აგებულია ა. კუპრინის მოთხრობის „დუელის“ სიუჟეტზე. მოქმედება სწარმოებს 1903—1904 წლებში რუსეთ-იაპონიის ომის წინ მაშინდელი რუსეთის ერთერთ მივარდნილ მოსაზღვრე ქალაქში, სადაც დგას მე-132 ქვეითი პოლკი. პიესა გვიხატავს ამ პოლკის ადამიანებს, ოფიცრებს და ჯარისკაცებს.

ჩემი, როგორც დამდგმელის, ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ დავუსურათო მაყურებელს ძველი არმია,—არმია, სადაც ერთის მხრით იდგა ფუქსავატი, მუქთახორა ოფიცრობა, გადაშენების გზაზე დამდგარი თავად-აზნაურობის წარმომადგენელი და მეორეს მხრივ დაჩაგრული, უფლებაჰყრილი, რელიგიით თავგზა აბნეული მასა ჯარისკაცებისა.

მთელი ძველი სახელმწიფოებრივი წყობილების დაღუპვის ფონზე ხდება ახალი კლასის აღმავლობა, ყველას თავს დასტრიალებს ლოზუნგი „თავს უშველეთ ვისაც კი შეგიძლიათ“ და „ბატონი ოფიცრებიც“ უკვე აღარ ფიქრობენ რუსეთზე, მეფეზე, არამედ თავის პირად კეთილდღეობაზე, საკუთარი სიცოცხლის გადარჩენაზე ოცნებობენ. საკუთარი კეთილდღეობისათვის ბრძოლა—წითელი ხაზივით მისდევს მთელ ჩვენს სპექტაკლს.

ზოგიერთი საბჭოთა რეჟისორი ჩვენი მტრების ჩვენების დროს გვიხატავდნენ მათ მახინჯებად, სასაცილოებად, ამისათვის ისინი მიმართავდნენ შარჟს, გროტესკს, პაროდიას და არ აშკარავებდნენ ობიექტიურ სინამდვილეს, ამათუიმ სახის სოციალურ შინაარს.

ჩვენ გვინდა შევქმნათ მკაფიო რეალისტური სპექტაკლი, სცენიური ხერხებით გამოვამჟღავნოთ ჩვენი პიესის გმირების სოციალური და ადამიანური ბუნება.

სპექტაკლის რეჟისორული გაფორმების დროს ჩვენ ვსარგებლობდით დიაგონალური კომპოზიციის პრინციპით. რაც საშუალებას იძლევა შევქმნათ მთელი რიგი საინტერესო სცენიური [illegible] და მკაფიოდ გამოკვეთილი მიზანსცენები.

რადიო-გადაცემა 16 ნოემბრისათვის

დილის 7 საათზე რადიო-გიმნასტიკა ქართულ და რუსულ ენებზე. 11 ს. 30 წ. გრამოფონის კონცერტი. 16 ს. 40 წ. გასართობელი მუსიკის კონცერტი. 17 ს. 30 წ. სიმფონიური კონცერტი. 18 ს. 20 წ. კონცერტი უფროს მოწაფეთათვის. 19 ს. 20 წ. აღმოსავლეთის მუსიკის კონცერტი—დუდუკი. 20 ს. ტრანსლაცია ოპერის თეატრიდან.

ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრი

დღეს	17 ნოემბერს	18 ნოემბერს
14 აბონემ. 2 წარმოდგენა **ჩიო-ჩიო-სან** მონაწ. ე. ხოხაძე, ე. დოლგოვა, მ. ბეზენსონი ვ. ყვარელაშვილი	მე-5 აბონ. 3 წარმოდ. **ფაუსტი და ვალპურგის ღამე** მონაწ. ვ. მალკოვა მ. ლუცენკო ნ. ბელუგინი ა. ბუთხუზი დ. მჭედლიძე (სსრ კავ. მოსკოვის დიდი თეატრი)	11 აბონემ. 3 წარმოდგენა **პრემიერა** პირველად ტფილისში ბალეტი **ფერენჯი**

წარმოდგენების დასაწყისი საღამოს სწორედ 8 საათზე. ბილეთებისა და აბონემენტების გაყიდვა, აგრეთვე გადასახდელის მიღება სწარმოებს ყოველდღიურად— დღისით 11-დან 2 საათამდე, საღამოს 6-დან 9 საათამდე. მიიღება მესამე მორიგი გადასახდელი ყველა აბონემენტზე.

დაიწყო ყველა აბონემენტის მეოთხე მორიგი შესატანის მიღება. მესამე შესატანის გადახდა სავალდებულოა ყველა აბონემენტისათვის

რუსთაველის თეატრი 1935—36 წლის სეზონი

დღეს	17 ნოემბერს	18 ნოემბერს
სახ. უნივერსიტეტის მე-15 აბ. 1 წარ. შილლერის **in tirannos**	რკ. გზელთა 7 აბონემ. 1 წარმ. ფ. შილლერის **in tirannos**	სას.-სამ. ინსტ. 16 აბ. 1 წარ. შვარკინის **ნაბიჭვარი** გადმოკ. გ. ბუხნიკაშვილის მიერ.

მესამე გადასახადი სავალდებულოა
სალარო ღიაა 11—2 6—9 საათამდე.
დასაწყისი 8 საათზე.

მარჯანიშვილის თეატრი

დღეს წარმოდგ. № 20	**ჩატეხილი ხიდი**
17 ნოემბერს წარმოდგ. № 21	**ვერაგობა და სიყვარული**

დასაწყისი საღ. 8 საათზე
ბილეთები თეატრის სალაროში დღის 11—2 ს. საღ. 6—9 ს.

გვესაჭიროება დურგლები მაღალი საშუალო კვალიფიკაციისა,
იქვე მიიღებიან მოწაფეები საფაბრიკო-საქარხნო სკოლაში ქართულ სექტორზე 17 წლიდან და მეტისა.
პირობების გაგება შეიძლება: ტფილისის საავეჯო ფაბრიკა (ელბაქიძის დაღმართი № 31, ცირკის პირდაპირ).

საპროც. სამ. საპრ. კოდ. 354 მუხ. თანახმად, **კიროვის რაიონ. სასამართლოს აღმასრულებელი დ. რიჟრიკაძე** ამით აცხადებს, რომ 1935 წ. 19 ნოემბერს, დღის 12 საათზე, რუსის ქუჩაზე № 5 სახლში

საჯარო ვაჭრობით

გაჰყიდის „გრუზკონსერვპლოდოოვოშჩის“ ქონებას: ალუბლის და შვინდის მურაბას ტონა-ნახევარს. ქონება ესე შეფასებულია 3209 მან. და გაიყიდება არტელ „მშრომელთა კვების“ პრეტენზიის დასაკმაყოფილებლად, არბიტრაჟის დადგენილების თანახმად 1935 წ. 19/4 № 3/399 გაცემული აღმასრულებელი ფურცლისა 11304

ოქტომბერი 6-30, 8-30, 10-30	ახალი ხმოვანი ფილმი **„გემის გზა“** პროგრამის გარეშე ხმოვ. კინო ჟურნალი № 26.
დამკვრელი 6-30, 8. 9-30, 11	ახალი ხმოვანი ფილმი **„შვიდი ბარიერი“** პროგრ. გარეშე „ავიაციის დღე“, მე-18 ოქტომბერი ფოიეში სიმებიანი ორკესტრი მაჭაროვსკის ხელმძღვ.
რ. ლიუქსემბურგის სახ. 6-30, 8, 9-30, 11	ხმოვანი საზღვარგარეთული ფილმი „პეტე“ (პეტა პროგრამის გარეშე „ყაზბეგის ღერძი“
„26“-ის კომ. სახ. 7, 8-30, 10	ხმოვანი ფილმი **„მტრის ბილიკები“** პროგრამის გარეშე „საბჭოთა ბელორუსიის 15 წელი“

თანახმად საქართველოს ადგ. მრეწველობის კომისარიატის ბრძანებისა № 900 ა/წლის 1 ნოემბრის თარიღით, მის ქვემდებარებაში მყოფი **ჰავა-დიეტური**

ქარხანა

ლიკვიდირებულია ა/წლის პირველი ნოემბრიდან. ყველა ორგანიზაციებს და პირებს, რომელთაც ამ ფაბრიკასთან რაიმე პრეტენზიები აქვთ ასეთები უნდა ხანაცხადონ ფაბრიკის სალიკვიდაციო კომისიის თავმ-რეს ამხ. იონოს შემდეგი მისამართით: ტფილისი, ალებასტრ-თიბაშირის ქარხანა, აბასთუმნის ჩიხი № 2 არა უგვიანეს ა/წლის 25 ნოემბრისა. აღნიშნული დროის შემდეგ არავითარი პრეტენზია მიღებული არ იქნება.
11220 **სალიკვიდაციო კომისია:**

ამხ. სტალინის სახ. ტფილისის ორთქლმავალთა შემკეთებელი ქარხნის **ნავთის-ჭალ ს საკარეთუბნო მეურნეობა ჰყიდის:**
- ბორნის მსხვილ ტროსს—50 ფუთს,
- ცხენ ს გუთნებს—15 ცალს,
- ხორბლეულის სან ავებელ მანქანას—2 ცალს,
- საბოსტნე სათბურების მინებიან ჩარჩოებს—200 ცალს,
- ორლემებიანი ტრაქტორის გუთ ნს—2 ცალს,
- ჯიშიან საქედე ხბოებს—5 სულს,
- ჯიშიან სახარე ხბოებს—4 სულს,
- ქერის და ხორბლის ბზესა და ნამჯას—25 ტონას,
- ბოსტნეული კულტურების თესლეულს— ჩინური ბოლოკი, თეის ბოლოკი, ხახვი, ისპანახი და სხვ.

ფასებისა და პირობების გაგება შეიძლება მეურნეობის დირექციაში ყოველდღე გამოსასვლელი დღის გამოკლებით. მისამართი: ნავთის-ჭალა, [illegible] მეურ ეო ა.
11 67 **მეურნეობის დირექცია**

დაიკარგა

ტფილისის საფინანსო-ეკ. ტექნიკუმის სტუდენტთა პროფკომის ბეჭედი. ჩ. გ. 11313

სენაკის პედ ტექნიკუმის დამთავრების მოწმობა ნიკოლოზ მიხეილისძე დემურიას სახელზე.

საშუალო სასწ. დამთავრების მოწმობა გედევან სანდოხაძის სახელზე

პასპორტი გაც. ლაგოდეხის საპ- მგიგიდან ლევან სოლომონისძე ელჩიბეკოვის სახელზე

პედტექნიკუმის დამთავრების დროებითი მოწმობა ლეონიდე აკაკისძე გვაზავას სახელზე № 1178.

პასპორტი დავით დიმიტრის ძე ლორთქიფანიძის სახელზე № 11210
ჩ/გ

უმაღლეს სასწავლებელში შემსვლ.
მოსამზადებელი კურსებზე
გრძელდება განცხადების მიღება, იხსნება მედინსტიტუტისათვის მოსამზადებელი ჯგუფი საღ. 6 ს. კალინინის ქ. 51 რკ. გზ. მე-5 სკოლის შენობაში. 11274

ნადი „მოზაიკას“ მუშა-მოსამსახურენი იზიარებენ ნადის თავმჯდომარის ამხ. სერაპიონ სიხარულიძის მწუხარებას მისი ქალიშვილის **თამარ სიხარულიძის** უდროოდ დაკარგვის გამო. 11298

ტრამვაის წლიური ბილეთების შესახებ
ტფ ქალაქის რკინიგზ გის ტრესტის დირექცია
აცხადებს
რომ 1936 წლისათვის ფასიანი ბილეთების რაოდენობა მტკიცედაა განსაზღვრული
ამისათვის წარმოება-დაწესებულებებმა დროულად უნდა წარმოადგინონ დაკვეთა მათთვის საჭირო წლიური ბილეთების რაოდენობაზე ავანსის შეტანით ტრამვაის სალაროში, ან კომუნალურ ბანკში № 16 მიმდინარე ანგარიშზე.
დაკვეთებთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნეს ფოტო-სურათები იმ პირებისა, რომელთაც უნდა მიეცეთ ბილეთები.
წლიური ბილეთების ღირებულება:
ა) **სახელობითისა—363 მან.**
ბ) **უსახელოსი —603 მან.**
ბილეთების განაწილების დროს უპირატესობა მიეცემა მხოლოდ იმ ორგანიზაციებს, რომელიც ადრე შემოიტანს დაკვეთას ღირებულების გადახდით
1935 წლის 31 დეკემბრის შემდეგ ბილეთები აღარავის არ მიეცემა
ქალ. ტფილისის რკ. გზების ტრესტის
411 2—2 დირექტორი რაზმაძე

სპეციალ. მომზადება
უმაღლეს მათემატიკაში ფიზიკაში
აგრეთვე უმაღლ. სასწავლ. და სამხ. დრო აკადემიაში შემსვლელებისა ქართ. და რუს. ენა
მისამართი: პლეხანოვის პროსპ. 25 ჩერნიშევსკის კუთხე № 5
მიღ. დილ. 9—1 ს. საღ. 5—7 ს.

დამწუხრებული ბაბუა ქიშვარდი, ბებია ბულბულო, ბიძები და ბიცოლები: კოლია, ლიზა, შალვა, ზოსია, აპოლონ, თამარ შვილ ქიშვარდით რამიშვილები იუწყებიან ძვირფას
თამარ (კვაკუშა) სერაპიონის ასულ სიხარულიძის
უდროოდ გარდაცვალებას. 424

შვილი ეპრაქსია, სიძე ონისიმე, შვილიშვილები: ისაკი ცოლშვილით ნადია და გურამით, გიორგი, შალვა, სარა, გოგოლა, კონონიუს სულაქველი ძეები იუწყებიან დაუვიწყარ
ქაიხოსრო ტრაპაიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა შუახევებში 17 ნოემბერს. 11305

დამწუხრებულნი: დები და სიძეები ანგელინა, გერმანე კომახიძეები შვილით გულიკოთი, მადლენა, ბიჭიკო ჩხეიძეები იუწყებიან უძვირფასესი დის
თამარ სერაპიონის ასულ სიხარულიძის
უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ვერის სასაფლაოზე დღეს. გამოსვენება 5 ს. გაბაშვილის შეს. № 12. 429

დამწუხრებული შვილი მარო, სიძე საშა, შვილიშვილი იუწყებიან დაუვიწყარი დედის
სოფიო ჩხაიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 6 საათზე, პლეხანოვის 50, დაკრძალვა 17 ოქტომბერს ვერის სასაფლაოზე 4 ს. 11306

შვილი შალვა, რძალი ლიდა შვილებით ჩხაიძეები იუწყებიან საყვარელ დედის
სოფიო ჩხაიძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 6 საათზე, პლეხანოვის 50, დაკრძალვა 17 ნოემბერს, 4 საათზე, ვერის სასაფლაოზე. 11306

ცოლი ქეთევან, ძმები, ვალოდია, ალიოშა გეგეჭკორები იუწყებიან
ნიკოლოზ (კოლია) გეგეჭკორის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 ნოემბერს 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს 5 ს. გოგის შეს. 8. 11307

უახლოესი მეგობრები: ქსენია და კოლია გვათუები მწუხარებით იუწყებიან მიხეილ და თამარ კორომშინაძეების პატარა ვაჟის
ტარიკოს
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება დღეს, საბჭოს ქ. № 3 დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. 11308

კუკუ ჟორდანია მეუღლით პეპათი, შვილებით, დედით, დით იუწყებიან მეგობრის
ნიკოლოზ (კოლია) გეგეჭკორის
გარდაცვალებას. გამოსვენება 18 ნოემბერს 4 ს. პანაშვიდი დღეს 5 ს. გოგის შეს. 8. 11307

ბებიები: ვალენტინა გამყრელიძე და გულჩინა მდივნიშვილი, ბაბუა კოსტა შვილებით, მამიდა ელენე, ბიძია ეტიხი იაშვილები მწუხარებით იუწყებიან პატარა
ვაჟა შალვასძე გამყრელიძის
გარდაცვალებას. 11309

დამწუხრებული მშობლები მიშა, თამარ შვილით ნათელიკოთი, ბიძა ევგენი, ბიცოლა გოგუცა შვილებით კორომშინაძეები იუწყებიან პატარა
ტარიკოს
უდროოდ დაკარგვას. გამოსვენება საბჭოს № 3. დღის 4 ს. კუკიის სასაფლაოზე. 11308

დამწუხრებული მეუღლე საშა, შვილები: ვერა, შალვა ცოლშვილით მაისურაძეები იუწყებიან
არჩილ ქრისტეფორესძე მაისურაძის
გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 6 ს. ზესტაფონში. დაკრძალვა 18 ნოემბერს. 11310

ასათიანი, ჩხეიძე, ურუშაძე, ჯაფარიძე, მერკვილოვი, თოფურიძე, კუპრაძე და მუჯირი გულითად თანაგრძნობას უცხადებენ თამარ სერგოს ასულ თოფურია—ჩხეიძისას მისი ძმის
შალვა სერგოსძე თოფურიას
გარდაცვალების გამო. 11314

მეუღლე ეკატერინე, შვილები: მარგალიტა, კლარა, საშა, გიორგი, თადეოზ, ჩიტო, სიძეები: ვასო შენგელია, ქრისტეფორე ჯღამაძე შვილებით იუწყებიან საყვარელ
ყარამან სტეფანესძე რამიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 ნოემბერს ბათომში. 11315

დამწუხრებული ცოლი მარო, შვილი ლევანი იუწყებიან უსაყვარლესი
სერგო (შალვა) სერგოსძე თოფურიას
უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი დღეს 6 ს. დაკრძალვა 17 ნოემბერს 3 ნახევარ ს. ყორღანოვის, 7. 11319

შვილები: კოლია, გრიშა და ვანო კვანტრიშვილები ცოლშვილით აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს საყვარელი დედის
კესარია ბესარიონის ასულის
გარდაცვალებას. დასაფლავება სოფელ კვალითში. 11316

საქამიერშუმტრესტის საგრინაჟო განყოფილების თანამშრომლები ვ ბასილია, ვ. ჩოგოვაძე, გ. კოსტავა, ქ. თოფურიძე აუწყებენ მეგობრებს და ნაცნობებს ძვირფასი მეგობრის და კოლეგის
სერგო (შალვა) თოფურიას
უდროოდ გარდაცვალებას. 11321

დამწუხრებული ძმები: იასონ, ფილიპე, ნესტორ ჯორბენაძეები ოჯახებით, რძალი სონია ჯორბენაძე, და ეფროსინე და სიძე დათიკო ნასარიძეები შვილებით აუწყებენ ნათესავ-მეგობრებს ძვირფასი
სოფიო ივანეს ასულ ჩხაიძის
გარდაცვალებას. 11311